აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№24 (24.904) სამშაბათი, 15 - 16 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით თოვლჭყაპი, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 1-6, შიდამთიან რაიონებში - 0-3 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გუშინ პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა. მან გამოსვლა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრით დაიწყო და დამსწრეთ ომში დაღუპულთათვის წუთიერი დუმილით პატივის მიგებისკენ მოუწოდა. პრეზიდენტმა ისაუბრა უცხოეთში გამართულ შეხვედრებზე, საქართველოს როლსა და ადგილზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, უსაფრთხოების გამოწვევებსა და სხვა საკითხებზე. „მოვუწოდებ მთავრობას, რომ ოპოზიციური სპექტრის მონაწილეობით შეიქმნას უსაფრთხოების საბჭოს გაფართოებული ან სხვა ფორმატი, სადაც განხილული იქნება ყველა სენსიტიური საკითხი. აქვე, კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ, რომ ამ ყველასათვის უმძიმეს პერიოდში გამოვაცხადოთ მორატორიუმი სიძულვილის ენის გამოყენებაზე“, - განაცხადა ზურაბიშვილმა.

* * *

ძალაშია პრეზიდენტისადმი შეთავაზება, საერთო დელეგაცია გაემგზავროს ბრიუსელში, სადაც ერთიანობას დააფიქსირებენ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესების დასაჩქარებლად, - ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოხსენების შეფასებისას განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, პრეზიდენტი შეცდომას უშვებს, როდესაც ოპოზიციას ერთ ფლანგად მოიხსენიებს.

* * *

მას კონსტიტუცია აქვს დარღვეული, რაც არის ძალიან ცუდი ფაქტი, რაც შეეხება იმპიჩმენტს, მგონია, რომ ეს საკითხი არ დადგება ჩვენი მხრიდან, - განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად მთავრობის წერილობითი შეუთანხმებლობისა ოფიციალურ ვიზიტებზე უცხოეთში, მან ეს ვიზიტები პირად შეხვედრებად აქცია. „პარლამენტისაგან დამოუკიდებლად რაღაცების კეთება, ჩემი აზრით, ინსტიტუტის უპატივცემულობაა“, - დასძინა მდინარაძემ. მისივე განმარტებით, „თუ პრეზიდენტს გარკვეული აქტივობის განსახორციელებლად სჭირდება მთავრობის თანხმობა და ამ თანხმობასთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები, ამას არ შეიძლება ეწოდოს დაბლოკვა, ეს არის არასწორი ინტერპრეტაცია.“

* * *

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას გამოეხმაურა. „მადლობა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც დღეს საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან ღირსეულად გააჟღერა ქართველი ერის ხმა“, - დაწერა ექსპრემიერმა სოციალურ ქსელში.

მოამზადა
ია შველიძემ

„Batumi Build 2022“ – 16 მარტს ოფიციალურად დაიხურება

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გუშინ ბათუმში, საერთაშორისო საგამოფენო კომპანია GEONET EXPO-ს ორგანიზებით, სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-11 საერთაშორისო გამოფენა „Batumi Build 2022“ ოფიციალურად გაიხსნა

გახსნის ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე, თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქის გუბერნატორი, აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრები და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

Batumi Build 2022-ის მიზანია, სამშენებლო ინდუსტრიაში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს კომპანიებისა და ვიზიტიორების გაცნობას, ბიზნესკონტაქტების მოძიებასა და შემდგომში საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებას. გამოფენაზე შესაძლებელი იქნება კომპანიებს შორის 2 შეხვედრების ორგანიზება.

„მსგავსი ტიპის ღონისძიებები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას როგორც ჩვენს რეგიონში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს არის საუკეთესო საშუალება ადგილზე გაეცნო შენთვის სასურველ პროდუქციას თუ კომპანიას“, - აღნიშნა გამოფენის გახსნის დროს აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა თორნიკე რიუკაძემ.

„Batumi Build 2022“-ში 60-მდე ადგილობრივი და უცხოური კომპანია მონაწილეობს. როგორც საერთაშორისო საგამოფენო კომპანია GEONET EXPO-ს მენეჯერმა მაგდა პაქსაძემ გვითხრა, გამოფენაზე სამშენებლო ტექნიკის, მასალებისა და დანადგარების მწარმოებელი ასევე, სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები, არქიტექტორები და უძრავი ქონების, სამშენებლო ინტერიერისა და ექსტერიერის, კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მწარმოებლები მონაწილეობენ. „ჩვენთვის დიდი პატივია, სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-11 საერთაშორისო გამოფენას გავუწიოთ ორგანიზება. მასში 5 ქვეყნის უმსხვილესი კომპანიები მონაწილეობენ, რაც ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. 16 მარტის ჩათვლით ველოდებით ყველა დაინტერესებულ პირს ბათუმის სპორტის სასახლეში. მის: ლადო ასათიანის ქ №27, ვიზიტიორების დასწრება თავისუფალია“, - გვითხრა მაგდა პაქსაძემ.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: საქართველოს მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია (IIA), თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (MUSIAD), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (GURTIAD), საქართველოს ბიზნესასოციაცია (BAG), საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში (ICC), დასაქმების სააგენტო „რეკრუიტერი“.

„Batumi Build 2022“ 16 მარტს ოფიციალურად დაიხურება.

უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა პირველი მოსმენით განიხილეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა. საქართველოს კანონპროექტები: „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა.

„მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის პროექტი მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. რაც შეეხება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს, კანონპროექტის მიღებით „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის“ მართვის ორგანოს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცემა უფლება, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება (შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) მის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიაზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე.

„მომხსენებლის განმარტებით, კანონპროექტის აგებულება და მისი სამართლებრივი კონსტრუქცია ემთხვევა აქამდე ამ მიმართულებით არსებულ გამოცდილებას. მათ შორის, გასულ წელს არაგვისა და თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტების შესახებ მიღებულ კანონებს“, - აღნიშნულია საქართველოს პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კანონპროექტების ავტორები არიან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები ვლადიმერ მგალობლიშვილი, ფრიდონ ფუტკარაძე, მარინე გვიანიძე და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

საქართველოში თურქული ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა

- 1 თვეში ქართულ ბაზარზე, თურქეთიდან შემოსული 200-მდე მედიკამენტი იქნება ხელმისაწვდომი, - განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში

როგორც უწყების ხელმძღვანელმა განმარტა, სტანდარტის, მაღალი ხარისხის მედიკამენტების იმპორტი საქართველოში ყველა წესისა და კანონმდებლობის სრული დაცვით ხორციელდება.

„ორ მსხვილ იმპორტიორს რამდენიმე კვირაა, თურქეთიდან შემოაქვს მედიკამენტები და ორ მსხვილ სააფთიაქო ქსელში უკვე არის 35-ზე მეტი მედიკამენტი. ასევე, რეგისტრაციაზე შემოსულია, დაახლოებით, 50 განაცხადი, რომელსაც დაჩქარებული რეჟიმით ვარეგისტრირებთ. ვფიქრობ, მომავალი ერთი თვის განმავლობაში, სრულად შემოვა ყველა ის მედიკამენტი, რისი მოლოდინიც გვქონდა. ეს არის, დაახლოებით, 200 მედიკამენტი“, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა „ქრონიკის“ სპეციალურ გამოშვებაში.

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, თურქეთში ხარისხის კონტროლის მკაცრი რეგულაციები მოქმედებს და აკმაყოფილებს ევროკავშირის ქვეყნების სხვადასხვა მოთხოვნას.

„ამ ბაზრის გახსნით, ვხედავთ, რომ ათეულობით თურქულ მედიკამენტზე ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩვენი ოპონენტები დასაწყისში ამბობდნენ, თითქოს თურქეთში წარმოებული მედიკამენტები არ არის ხარისხიანი. დარწმუნებული იყავით, რომ ეს ასე არ არის.

„სტამბოლში პირადად ვიმყოფებოდი ორ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიაში, რომელთა წარმოებული მედიკამენტებიც ხვდება ბაზარზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, ძალიან მაღალი ხარისხისა და სტანდარტების მედიკამენტები იწარმოება. მათ მიერ გაცემული დოკუმენტი კი საკმაოდ მაღალი სანდოობისაა. გამორიცხულია, რომ ამის უკან რაიმე პრობლემა იყოს. ასევე, ნებისმიერი იმპორტირებული მედიკამენტის შემთხვევაში, აუცილებელი წესით, ივნისიდან წლის ბოლომდე ყველა იმპორტიორს ვთხოვთ GMP სტანდარტისა და სერტიფიკატის წარმოდგენას. ესეც თავის მხრივ, აზღვევს ფალსიფიკაციისა და უხარისხო მედიკამენტების ჩვენს ბაზარზე მოხვედრის რისკს“,- აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

თურქული ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით გაიხსნა. ამ ეტაპზე 30 -ზე მეტი დასახელების მედიკამენტის შეძენა 60%-80%-ით დაბალ ფასად არის შესაძლებელი. ფარმაცევტული კომპანიები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ თურქულ მხარესთან, რათა მედიკამენტების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი გახდეს.

მარი მიდასელი

აქცია – „ალტ ინფოს“ ოფისთან

გუშინ ქობულეთში, „ალტ ინფოს“ „კონსერვატიული მოძრაობის“ პარტიის ოფისთან აქცია გაიმართა. ადგილობრივებმა ოფისის გახსნა გააპროტესტეს, რასაც სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. ალტ ინფოს პარტიის წარმომადგენლები აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს დაუპირისპირდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს

შეკრებილებს „ლელოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც შეუერთდნენ. ოფისთან მობილიზებულნი იყვნენ სამართალდამცველები. როგორც მოქალაქეები აცხადებდნენ, „ალტ ინფო“ პრორუსული ძალაა და მისი ადგილი ქობულეთში არ არის. მანამდე მათ საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს ქობულეთის ქუჩებში ქართული და უკრაინული დროშებით, ასევე ბანერებით წარწერით „ალტ ინფო“ - „ხელის ბიჭები“, გადაკეტეს ადმაშენებლის გამზირი.

„ეს არ არის პოლიტიკური ან პარტიული აქცია. ადამიანები თავისით შეიკრიბნენ. „ალტ ინფოს" პოლიტიკური ინტერესები ვიცით. იგი ღიად, აშკარად და ნათლად ადასტურებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომში, რუსეთი არის მართალი მხარე. ამათ ლუსტრაციაც არ სჭირდებათ, ნათელია მათი პრორუსულობა, ისიც ნათელია, რომ პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდებიან. ისინი პუტინის „ხელის ბიჭები“ არიან და დეზინფორმაციით ცდილობენ ქართულ სახელმწიფოს ძირი გამოუთხარონ - განაცხადა „ლელო საქართველოს“ ქობულეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბეგი ტაკიძემ.

საპირისპიროს ამბობს ქობულეთში „ალტ ინფოს“ პარტიის ოფისის კოორდინატორი ილია ბენიძე:. „ჩვენ ვართ „პროქართული მოძრაობა, რომელიც ომის აცილებას ცდილობს. ეს ხალხი რას აპროტესტებს, არ ვიცი. როცა მეუბნები, რომ „პრორუსული“ ვარ, შეურაცხყოფას მაყენებ. სხვა მისამართზე ხართ მოსული. მე ვამბობ, რომ საქართველო ომში არ უნდა ჩაერთოს, ამიტომ ვარ პრორუსული ძალა? უკრაინაში მიმდინარე ომს ვგმობ და ვაღიარებ, რომ რუსეთმა დაიწყო. რაც უკრაინაში ხდება, არ მინდა, რომ საქართველოშიც განმეორდეს. ორი ალტერნატივა გვაქვს, ან ომი ან დიალოგი და ჩვენ ვირჩევთ დიალოგს. ჟურნალისტები, რომლებიც აქ ხართ მოსული, რასაც გინდათ, იმას ჭრით და კერავთ“.

„საბედნიეროდ, არცერთი ქალაქი არ აძლევს მათ ოფისის გახსნის უფლებას, არ ვიცით, რატომ იფიქრეს, რომ ქობულეთში შეძლებდნენ რუსული პროპაგანდისტული მანქანის დაქოქვას. ვფიქრობ, ყველა ქობულეთელს გვეხება ეს, აუცილებლად უნდა ვანახოთ, რომ არჩევანში მწარედ შეცდნენ. ჩვენთვის მიუღებელია მათი იდეოლოგია და უცნობია დაფინანსების წყარო“, - გვითხრეს მოქალაქეებმა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, შეკრება მანამ გაგრძელდება, სანამ ქობულეთში პრორუსული პარტიის ოფისი არ დაიხურება.

„ალტ-ინფოს“ პრორუსულ პარტიას „კონსერვატიულ მოძრაობას“ ხულოს ოფისი გახსნის დღესვე დაატოვებინეს. მოქალაქეებმა 3 400 ლარზე მეტი შეუგროვეს ხულოში მცხოვრებ დათო სოლომონიძეს, რომელმაც პარტიას თავისი ოფისი დაატოვებინა.

ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებისა“ კვლევით, შპს „ალტ ინფოს,“ რომელიც 2019 წლის 28 იანვარს დარეგისტრირდა, დირექტორი შოთა მარტინენკოა. კომპანიის 50-50%-იან წილებს შოთა მარტინენკო და ციალა მორგოშია ფლობენ. კვლევაში, ნათქვამია, რომ „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულია კიდევ ერთი ორგანიზაცია ა(ა)იპ „ალტერნატივა საქართველოსთვის.“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან „ქართული მარშის“ ყოფილი წევრი კონსტანტინე მორგოშია, ზურაბ მახარაძე, შოთა მარტინენკო, ირაკლი ყიზილაშვილი და რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე გიორგი ქარდავა.

კონსტანტინე მორგოშიამ ტვ პირველთან ინტერვიუში განაცხადა, რომ პარტიულ დელეგაციასთან ერთად მიემგზავრება რუსეთში, რათა მოლაპარაკებები გამართონ იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებსაც შეუძლიათ რუსულ-ქართული ურთიერთობების დალაგება. მორგოშიას თქმით, ისინი „მალე ფინანსურად მყარად იქნებიან, რადგან გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, მათ შორის რუსეთიდან, რომლებიც მათ მხარს დაუჭერენ“.

ანკა ჩხიკვაძე

რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეებს ბინის მეპატრონეები უარით ისტუმრებენ

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების მიერ ქართულ უძრავ ქონებაზე მოთხოვნა ნახტომისებურად გაზრდილია - ამის შესახებ განაცხადა კომპანია Noble Real Estate-ის დამფუძნებელმა, უძრავი ქონების სფეროს ექსპერტმა ვაჟა მებაღიშვილმა

მისი თქმით, ამ ორი ქვეყნიდან შემოსულ ადამიანებს ბინების დაქირავება მოკლე ვადით სურთ. მოთხოვნა კი ძირითადად, თბილისსა და ბათუმზეა:

„მომართვიანობა ძალიან არის გაზრდილი, მაგრამ ქონებები, მოგეხსენებათ, ლიმიტირებულია. მიუხედავად იმისა, რომ აქტიური მშენებლობები მიმდინარეობს თბილისში, ძალიან მალე ხდება მათი გაყიდვა, გათხრილი არ არის კორპუსის საძირკველი, რომ უკვე გაყიდულია. იჯარის ნაწილში კი, ძალიან ცოტაა კარგი ბინები. ჩვენ კომპანიას რაც შეეხება, ელიტურ უძრავ ქონებაზე ვმუშაობთ და აქ, კიდევ უფრო გართულებულია.

რუსეთიდან და ბელარუსიდან როცა რეკავენ კლიენტები, პირველ ეტაპზე გვესაუბრებიან ინგლისურად. აშკარად, ჩვენი დამოკიდებულების მიმართ სიფრთხილისა და შიშის გამო. შემდეგ კი მეილით გვწერენ, რომ გმობენ რუსეთის აგრესიას უკრაინის და საქართველოს წინააღმდეგ. ეს არის აშკარად ახალი ტენდენცია. თვალსაჩინო რომ იყოს, სადღაც დღის 12 საათამდე დაახლოებით 25 ზარი და 10 მეილი მაინც შემოდის ამ ორი ქვეყნიდან. უკრაინიდან მომართვიანობა ნაკლებია, რადგან, მოგეხსენებათ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანა იღებს აქტიურად ლტოლვილებად. ასეთია სიტუაცია ჩვენთან და ასოციაციის სხვა წევრებთან, ვისთანაც საკმაოდ მჭიდრო კომუნიკაცია მაქვს.

ნახტომისებურად არის გაზრდილი მოთხოვნა, მაგრამ ქართველი გამქირავებლების 85% უარს ამბობს რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეებისთვის ბინის მიქირავებაზე. მესაკუთრეები კითხულობენ, ამ ორი ქვეყნიდან ხომ არ არიან. გაყიდვაზეც ზუსტად იგივე სიტუაციაა.

დაქირავება უნდათ 2-4-6 თვით, მაგრამ რადგან მიხვდნენ, რომ გრძელვადიანი ხელშეკრულებები უფრო ადვილი მოსაპოვებელია, ითხოვენ 1 წლითაც, თუმცა გვეკითხებიან ხოლმე, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში, როგორი იქნება სანქციები და ჩვენ ვაძლევთ დეტალურ განმარტებას. მოთხოვნა თბილისზე და ბათუმზეა, რადგან ზღვის სეზონი ახლოსაა“.

შეგახსენებთ, ოფიციალური ინფორმაცია, ომის პარალელურად რუსეთის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი, სახელმწიფოს არ გაუვრცელებია, თუმცა მინისტრთა კაბინეტის წევრები ამბობენ, რომ პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, სტატისტიკა არ გაზრდილა.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

საწვავის გაძვირების ფონზე, ქობულეთი-ბათუმის მიმართულებით მგზავრობა 50 თეთრით ძვირდება. მძღოლებმა მგზავრების გაფრთხილება უკვე დაიწყეს. საქალაქთაშორისო მიკროავტობუსების ნაწილზე გამოკრულია გამაფრთხილებელი ბანერები, უკვე 14 მარტიდან მგზავრობის ფასი ქობულეთამდე 2 ლარი და 50 თეთრი იქნება. მძღოლების თქმით, გაძვირებული საწვავის ფონზე, მათ ორი ვარიანტი დარჩათ - ან ავტომობილები გააჩერონ, ან მგზავრობა გააძვირონ. „თუ საწვავზე ფასი დაიკლებს, მგზავრობის ფასიც 2-ლარიან ნიშნულს დაუბრუნდება“, - ამბობენ ისინი. ცნობისთვის ბოლო ორ კვირაში, საქართველოში საწვავზე ფასმა საშუალოდ 25 თეთრით მოიმატა. ზრდა ყველა კატეგორიის საწვავს შეეხო. ავტოგასამართ სადგურებზე უმაღლესი ხარისხის საწვავის ფასი 3 ლარი და 70 თეთრია, ხოლო „რეგულარი“ - 3 ლარი და 45 თეთრი.

* * *

დათო სოლომონიძეს, რომელმაც ხულოში „ალტ-ინფოს“ პარტიას ოფისი დაატოვებინა, მოქალაქეებმა 3430 ლარი შეუგროვეს. თანხის ნაწილი მან უკრაინის დასახმარებელ ფონდში გადარიცხა, რითაც თანადგომა გამოუცხადა საომარ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. დათო სოლომონიძის განცხადებით, როგორც კი გაიგო პრორუსული ორგანიზაციის მიზნები, გადაწყვიტა, თავისი ფართი აღარ დაეთმო ორგანიზაციისთვის.

* * *

საქართველოს ეროვნული ლიგის მეოთხე ტურის შეხვედრაში ბათუმის „დინამომ“ საკუთარ მოედანზე თბილისის „საბურთალო“ მიიღო და ფრედ 2:2 ეთამაშა. 26-ე წუთზე ლაზარე კუპატაძის შეცდომის შემდეგ, ირაკლი სიხარულიძემ „საბურთალო“ წინ გაიყვანა. მალევე ბათუმელებმა ანგარიში გაათანაბრეს, თუმცა შეხვედრის არბიტრმა გოლი გაუქმა, რასაც გულშემატკივართა აღშფოთება მოჰყვა. 37-ე წუთზე მოლი ჯოვინომ გაიტანა, რაც ამჯერად მსაჯმა ჩათვალა და პირველი ნახევარი ფრედ - 1:1 დასრულდა. მეორე ნახევარში, 65-ე წუთზე ნონიკაშვილმა ისევ სტუმრები გაიყვანა წინ. 76-ე წუთზე ბიძინაშვილმა „საბურთალოს“ კარი დალაშქრა და მატჩის საბოლოო ანგარიში 2:2 დაფიქსირა. 4 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ შავიზღვისპირელებს 7 ქულა აქვთ. შემდეგ შეხვედრას გეგუჩაძის გაწვრთნილი „დინამო“ 18 მარტს გასვლაზე თბილისის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ გამართავს.

* * *

ბათუმის „დინამოს“ აკადემიის 17-წლამდელთა გუნდი ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში „Ateits cup 2022“-ზე ასპარეზობს. ბათუმელმა ფეხბურთელებმა გატანილი გოლის შემდეგ უკრაინის დროშა გაშალეს და მეგობარ ქვეყანას სოლიდარობა გამოუცხადეს.

* * *

ბათუმის სარაგბო კლუბმა დიდი 10-ის გათამაშებაში მორიგი შეხვედრა მოიგო. მე-13 ტურში „ბათუმი“ გასვლაზე თბილისში „ლოკომოტივს“ ესტუმრა და 0-19 დაამარცხა. ლელოები ჩხარტიშვილის და ბუჯიაშვილის ანგარიშზეა. 13 ჩატარებული მატჩის შემდეგ ბათუმელები დიდი 10-ის გათამაშებას 59 ქულით დამაჯერებლად ლიდერობენ. შემდეგ შეხვედრას ბათუმის სარაგბო კლუბი 25 მარტს საკუთარ კედლებში კიკეთის „იუნკრების“ წინააღმდეგ გამართავს.

მოამზადა
ნინარა ფუტკარაძემ

ისტორიული გადაწყვეტილება, ანუ რამდენად შორს წავა ჰააგის სასამართლო?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ისტორიული და სამართლიანი გადაწყვეტილება“ - ამგვარი შეფასებები ისმის ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის მისამართით 2008 წლის ომის შესახებ. კერძოდ, ამ სასამართლოს განაჩენში ნათქვამია, რომ „ქართული მხარე ახორციელებდა თავდაცვას და მოქმედებდა ომის ყველა წესის დაცვით“, - და მოითხოვა სამი მაღალჩინოსანი სეპარატისტის და ერთი რუსი სამხედროს დაპატიმრება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კი არ დაგვიწყია ომი, არამედ ვიცავდით საკუთარ ქვეყანას.

რამდენად შორს წავა ჰაგის სასამართლო განაჩენის აღსრულების თვალსაზრისით, ძნელი სათქმელია, თუმცა ის კი ცხადია, რომ ზემოაღნიშნული განჩინებით ჩანს - რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ კვლავ მსოფლიოს დღის წესრიგშია, ასევე, ეს ნათლად მიუთითებს, რომ უკრაინის და საქართველოს მდგომარეობა არსობრივად ერთმანეთის მსგავსია - ასეთია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების შეფასებებიც. დიახ, რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ მსოფლიო გამოაფხიზლა და კრემლის დანაშაულებებზეც აალაპარაკა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ რუსეთი არ თანამშრომლობს ჰაგის სასამართლოსთან, ანუ არ არის მიერთებული რომის სტატუტის დებულებასთან, რაც დასავლეთს უზღუდავს რუსეთზე ზემოქმედებას. არადა, საკუთარ თავში დარწმუნებული ყველა სახელმწიფო მონაწილეობს და თანამშრომლობს ჰაგის სასამართლოსთან.

ცნობისთვის: ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დაფუძნდა 2008 წელს რომში (კონფერენციაზე) მიღებული რომის სტატუტის საფუძველზე. საქმე ის

„მეთიუ ბრაიზმა თქვა, საქართველოში შეჭრის გამო რუსეთისთვის სანქციები რომ დაგვეწესებინა, რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ არ მოხდებოდაო... უდავოა, რომ არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რომ ყოფილიყო შეუვალი, პრინციპული ამ კუთხით, რა თქმა უნდა, რუსეთი ვერ შეძლებდა 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების მითვისებას და 2022 წელს აგრესიას უკრაინის მიმართ

გახლავთ, რომ ამ სასამართლოს შექმნამდე საერთაშორისო მართლმსაჯულებამ ჩამოყალიბების თვალსაზრისით დიდი გზა განვლო. მის წანამორბედ მექანიზმად ითვლებოდა ნიურნბერგის, ტოკიოს, იუგოსლავიის, რუანდას ტრიბუნალები, ანუ დროებითი მართლმსაჯულების სასამართლოები, რომლებიც იქმნებოდა დროებით, სპეციალურად კონკრეტული ფაქტებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. შესაბამისად, კაცობრიობა თავისი განვითარების და საერთაშორისო სამართლის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღარ კმაროდა დროებითი სასამართლოები და უნდა შეექმნათ მუდმივმოქმედი სასამართლოები... რომის სტატუტში გაწერილია, რა კომპეტენცია, იურისდიქცია გააჩნია ამ სასამართლოს. მასში აღინიშნა, რომ სასამართლო არ არის ძირითადი მართლმსაჯულების ორგანო, ის შემავსებელი, დამხმარე ორგანოა ეროვნული სასამართლოებისთვის და მართლმსაჯულების სისტემისთვის...რაც შეეხება მის კომპეტენციას და ქვემდებარე საკითხებს, აქ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების, სახელმწიფოების და ზოგადად საკაცობრიო ინტერესების შესაბამისად, ითვალისწინებს ოთხ დანაშაულს, ესენია: გენოციდი, სამხედრო დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და აგრესია.

ყირიმის ანექსიამდე და მით უფრო ახლა, როცა მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა რუსეთის რეალური სახე, საერთაშორისო საზოგადოება ცალსახად ალაპარაკდა რუსეთის დანაშაულებზე. მკაფიოდ დაინახეს რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ, სამხედრო დანაშაული - ხალხის წინააღმდეგ, ალაპარაკდნენ გენოციდის ფაქტებზეც, რუსეთის არმია ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას, რომ აღარაფერი ვთქვათ, ინფრასტრუქტურაზე. ამიტომ უკრაინამ და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ჰაგის საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს სამხედრო დანაშაულის თაობაზე. ამის შესახებ საუბრობენ აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ლიდერებიც, რაც მრავლისმთქმელია. როგორც ვხედავთ, ცივილიზებული მსოფლიო სხვადასხვა მეთოდით ცდილობს რუსეთის შეკავებას, ამ მხრივ, როგორც ვთქვით, ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებითაც მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი დრო (14 წელი) გავიდა, ჩვენს ქვეყანაში ამ ომის შედეგებთან დაკავშირებით სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. კვლავ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები, ლტოლვილები ვერ უბრუნდებიან საკუთარ კარ-მიდამოს და დასავლეთი ქმედით ნაბიჯებს ვერ დგამს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაში ჩვენს დასახმარებლად, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია: რუსეთი ზესახელმწიფოა და მასთან დაპირისპირება არც ისე ადვილია. ეს სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ბირთვული ომის გაჩაღებით ემუქრება მსოფლიოს, ამიტომ ყველა ერიდება მის გაღიზიანებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთმა დაივიწყა რუსეთის აგრესიულობა საქართველოსთან მიმართებაში.

ამჟამად მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენაა მიპყრობილი, სწორედ აქ წყდება მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ბედიც, ამიტომაც თითქმის მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ. თავად რუსეთი, როგორც მოსალოდნელია, უარყოფს მისი მხრიდან ომის დაწყებას და აცხადებს, რომ მისი ქვეყანის უსაფრთხოებისთვის აწარმოებს სამხედრო ოპერაციას. ამგვარი „ფორმულირება“ აგრესორი ქვეყნისგან არ არის მოულოდნელი. ახლა თვით დასავლელი მაღალჩინოსნებიც აღიარებენ, რომ 2007-2008 წლებში ისინი რუსეთთან მიმართებაში (კომპრომისების თვალსაზრისით) შეცდნენ. მაგალითად, ამერიკელმა მაღალჩინოსანმა მეთიუ ბრაიზმა თქვა, საქართველოში შეჭრის გამო რუსეთისთვის სანქციები რომ დაგვეწესებინა, რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ არ მოხდებოდაო... უდავოა, რომ არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რომ ყოფილიყო შეუვალი, პრინციპული ამ კუთხით, რა თქმა უნდა, რუსეთი ვერ შეძლებდა 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების მითვისებას და 2022 წელს აგრესიას უკრაინის მიმართ. ჩვენ კარგად გვახსოვს 2007 წლის ნატოს სამიტი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ აშშ ითხოვდა საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას. იგი ცდილობდა, დაეთანხმებინა გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი საქართველოსთვის და უკრაინისთვის მიეცათ ხმა მაპის მხარდაჭერის თვალსაზრისით. გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოს და უკრაინას მაპი არ მიენიჭა. ცხადად გვაჩვენა, რომ დასავლეთის არათანმიმდევრულობამ იმოქმედა უკრაინის მოვლენებზეც, რასაც მოჰყვა ჯერ ყირიმის ანექსია და ახლა ფართომასშტაბიანი აგრესია მთელი უკრაინის მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ საქართველოს სასარგებლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა სამართლიანობის აღსადგენად, გარდა ამისა, რუსეთის წინააღმდეგ ჰაგის სასამართლოში უკრაინამაც შეიტანა სარჩელი. ამჯერად, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ზემოაღნიშნული სასამართლო, არც ისე რთული სათქმელია, იმედია, ამ მხრივ სათანადოდ მოემზადება უკრაინული და ქართული მხარე და უტყუარ მასალებს გაუგზავნის სასამართლოს რუსეთის დანაშაულის შესახებ უკრაინასა და საქართველოში.

მათ ჯერ არ დაუტოვებიათ რუსული ბაზარი...

UNIAN-ის კორესპონდენტის ცნობით, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ ონლაინ-ბრიფინგზე ჩამოთვალა მსხვილი კომპანიები, რომლებიც დღემდე განაგრძობენ საქმიანობას რუსეთში. კულებამ საერთაშორისო ბიზნესს მოუწოდა, არ გაჩერდნენ და დატოვონ რუსეთი როგორც მორალური, ისე პრაგმატული მიზეზების გამო.

„არავის სურს ომის დანაშაულებთან ასოცირება. მეორეც, რუსეთის ეკონომიკა სწრაფად უახლოვდება კოლაფსს. მისი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. კომპანიები ცდილობენ ახლა გაიქცნენ, რათა კაპიტალი არ გამოიტანონ ნანგრევებიდან“, - განაცხადა მან.

კულებას თქმით, ამ დრომდე 209 კომპანიამ მთლიანად დატოვა რუსული ბაზარი და შეწყვიტა ურთიერთობა რუს პარტნიორებთან, თუმცა, ამავდროულად, 378 აგრძელებს მუშაობას ან მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს მუშაობას რუსეთში.

„ამავდროულად, მსხვილ კომპანიებს შორის, რომლებმაც ჯერ არ დატოვეს რუსეთი, არის Leroy Merlin, Metro, Auchan, Spar, Pirelli, Accor, Intercontinental Hotel, Otis Worldwide, Honeywell, Mohawk Industries, Arconic, Oriflame, Kimberly-Clark, Koti Retail. , Ecco, Salvatore Ferragamo, Philip Morris, PapaJohn's, kellogg's, Beyer, Citigroup, Societe Generale, UniCredit, Intesa Sanpaolo. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, რაც შეიძლება მალე დატოვონ რუსული ბაზარი, ხოლო სხვა მთავრობებს და მომხმარებლებს ბოიკოტი გამოუცხადონ ამ კომპანიებს, სანამ ისინი არ შეწყვეტენ მუშაობას რუსეთში“, - განაცხადა მან.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

საფრანგეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა სატელეფონო საუბრისას ანტირუსულ სანქციებსა და უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს. ემანუელ მაკრონი, ჯოზეფ ბაიდენის გარდა, ტელეფონით ესაუბრა ასევე თავის უკრაინელ კოლეგა ვოლოდიმირ ზელენსკის, - ინფორმაცია ამის შესახებ ელისეის სასახლეში გააჟღერეს. „საფრანგეთისა და აშშ-ის თავკაცებმა მოილაპარაკეს რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციების გაძლიერებაზე, უკრაინის მხარდაჭერასა და ცეცხლის შეწყვეტის ყველა შესაძლო ინიციატივაზე. მათ ამ საკითხზე მჭიდრო კონტაქტი ექნებათ“, - განაცხადეს ელისეის სასახლეში.

* * *

ვლადიმერ პუტინი წინააღმდეგი არ არის, შეხვდეს ვოლოდიმირ ზელენსკის, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბრის შემდეგ განაცხადა. „ჩვენ გულმოდგინედ ვმუშაობთ ლიდერების შეხვედრის ორგანიზებისთვის. პუტინმა ჩვენს პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ არის ასეთი შეხვედრის. უკრაინა მზად არის. მხარეებს შორის ბელარუსში მიმდინარეობს ტექნიკური მოლაპარაკებები. მეორე მხრივ, არის მცდელობები სხვა არხებისგანაც, რომლებსაც ჩვენ, ასევე მხარს ვუჭერთ“, - დასძინა ჩავუშოღლუმ.

* * *

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოუწოდა აშშ-ს, ნათელი მოჰფინოს თავის სამხედრო-ბიოლოგიურ საქმიანობას უკრაინაში. „თუ აშშ-ს სურს დაამტკიცოს თავისი საქმიანობის გულწრფელობა, იქნებ გახსნას ეს ბიოლოგიური ლაბორატორიები საერთაშორისო ექსპერტების დამოუკიდებელი კვლევებისთვის. ამ სფეროში ვაშინგტონის ქმედებები მსოფლიო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს“, - განაცხადა დიპლომატმა. როგორც ცნობილია, ამ დღეებში რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გამოითქვა ეჭვი, რომ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ბიოლაბორატორიები აშშ-ის მიერ გამოიყენებოდეს ისეთი ბიომასალების შესაქმნელად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, შერჩევით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დაავადება.

* * *

რამდენიმე წუთში დაიწყება რუსეთის ფედერაციის დელეგაციასთან მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი, ჩვენ შევეცდებით მათ გავაგებინოთ, რომ ომის მე-19 დღე ეს არის ქვეყნის უდიდესი გმირობის მე-19 დღე. ჩვენი პოზიცია უცვლელია - მშვიდობა, ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რუსული ჯარების სრულად გაყვანა. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ვისაუბროთ რაღაც მეზობლურ ურთიერთობებზე, პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებაზე, - განაცხადა გუშინ, მოლაპარაკებების დაწყებამდე უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა მიხაილ პოდოლიაკმა. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები იქნება ძალიან მძიმე.

მოამზადა
ია შველიძემ

„პუტინს საქართველოს ტერიტორიაზე ორი ბაზა აქვს: აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ფეხისწვერებზე შემოპარვა რაში სჭირდება?!“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საგარეო პოლიტიკა პოლარიზებულია. კოლექტიური დასავლეთი გაემიჯნა რუსეთსა და მის მოკავშირეებს, უკრაინის თავგანწირვამ კაცობრიობის გონიერი ნაწილის მობილიზაცია შეძლო. აშკარა გახდა, რუსეთს ყველა ხერხით დაუპირისპირდებიან და საბოლოო ეკონომიკურ განადგურებამდე მიიყვანენ

„რუსეთი დაიშლება, როგორც თავის დროზე - საბჭოთა კავშირი. ამ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებს, მაგრამ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ამ პერიოდში საქართველო, რა გველის, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩვენკენ დაეშვებიან „ბოევიკები“, ეს ცალკე თემაა“ - აცხადებს „აჭარასთან“ ექსკლუზივში პოლიტოლოგი ***რამაზ სამყვარელიძე.***

- ომი ყოველთვის მწუხარებაა და ამ ეტაპზე მსხვერპლი არ აკლია არცერთ მხარეს, განსაკუთრებით - რუსეთს. საომარი მოქმედებები ძველებურად სტაბილურია, რადგან რუსეთის შეჭრა არ დაგვირგვინდა სწრაფი გამარჯვებით, როგორც თავად ელოდა. ფაქტია, რომ უკრაინა იბრძვის საკმაოდ ეფექტურად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მასთან ერთად იბრძვის მთელი დასავლეთი, მსოფლიო. უპრეცედენტო გაერთიანების მომსწრე გავხდით, თუნდაც უკრაინის იარაღით და ფინანსებით დახმარება გავიხსენოთ და თუნდაც, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური ან სხვა სახის სანქციები. მანამდე არსად ასე არ გაერთიანებულან მოსკოვის წინააღმდეგ: არც ჩვენთან, 2008 წელს, არც ყირიმის ანექსიის დროს... უკრაინისა და მსოფლიოს ბრძოლა ჩრდილოეთის იმპერიის წინააღმდეგ, თავისთავად, უაღრესად დადებითი მოვლენაა, რამაც შესაძლოა, მსოფლიო შეცვალოს.

- ბატონო რამაზ, თქვენ ახსენეთ, რომ რუსეთს მეტი მსხვერპლი ჰყავს, რუსული არხები კი საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებენ. ფაქტია: მიმდინარეობს საინფორმაციო ომი. როგორ გავიგოთ, სად არის სიმართლე?

- ყველა ომს ახლავს საინფორმაციო დაპირისპირებები, რაც ბუნებრივია, თუმცა პრობლემატურიც, რადგან სწორი ინფორმაციის მოპოვება თითქმის შეუძლებელი ხდება. აქედან გამომდინარე, რუსული და უკრაინული წყაროების მიკერძოებული ცნობებით რომ არ ვიმსჯელოთ, უნდა გამოვიდეთ ფაქტებიდან, ანუ რას აკეთებენ დაპირისპირებული მხარეები. უნდა შევადაროთ მონაცემები იმ ნაბიჯებს, რომლებსაც ესა თუ ის მხარე დგამს. ჯერ ერთი, რუსეთმა გაზარდა მობილიზაციის რაოდენობა და ტემპები, თანაც პუტინმა განაცხადა, რომ სირიიდან ითხოვენ ომში ჩაბმას და ციმბირიდან მოჰყავს ჯარი. თუკი ამას გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ შემოაკლდა ცოცხალი ძალა.

- დასავლეთი საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა უკრაინის რეალურ მხარდაჭერაზე...

- რა თქმა უნდა, დასავლეთი საერთოდ რომ ჩაება, ეს გვიხარია, თორემ გვიან ჩაბმას აღარ ვჩივით. მათაც შეიძლება გავუგოთ - თავს იკავებდნენ იმიტომ, რომ დასავლეთის პოლიტიკური ელიტა უფრო მეტად არის დამოკიდებული ამომრჩეველზე, ვიდრე რუსეთის (რა შედარებაა!), ამ ამომრჩეველისთვის კი მნიშვნელობა აქვს, რამდენად პრობლემური იქნება მისთვის - კონკრეტული მოქალაქისთვის ესა თუ ის გადაწყვეტილება. ენერგომატარებლების სანქციებით გამოწვეული გაძვირება დისკომფორტს უქმნის ევროპელებს. ამაზე ხშირად საუბრობენ დასავლელი პოლიტიკოსები და ბაიდენიც, უხსნიან საკუთარ მოქალაქეებს, სხვაგვარად რუსეთს ვერაფერს ვუზამთო. თავად განსაჯეთ, დაარწმუნო ევროპელები, ცხოვრება გაგიძვირდებათ, მაგრამ უნდა ავიტანოთ, რათა რუსეთი დავამარცხოთო. ეს ცოტა ძნელია.

- რუსეთი რომ დაესხას თავს ევროპას, მაშინ ხომ მიხვდებიან?

- მაშინ - კი და ადეკვატური აღქმაც ექნებათ, მიხვდებიან, სახიფათო იმპერიასთან რომ აქვთ საქმე, მანამდე კი, სანამ ნაღმი არ აფეთქდა, რუსეთს მიიჩნევდნენ რიგით სახელმწიფოდ, ისევე როგორც ჩინეთსა თუ იაპონიას. ახლა, უკრაინაზე აფეთქდა რუსეთი და სწორედ აქ დაინახა დასავლეთმა, რამდენად საშიშია მოსკოვი და რა შეუძლია პუტინის აგრესიას, ამიტომ მოხერხდა დასავლეთის მობილიზაცია ასე თავისუფლად და შედარებით მოკლე დროში, თორემ რუსეთს სწრაფად რომ განეხორციელებინა უკრაინის ანექსია, ისევე მშვიდად „გაატარებდნენ“, როგორც საქართველოში შემოჭრას და ჩვენი ტერიტორიების მითვისებას. „სხვისი ჭირი, ღობეს - ჩხირი“- კარგი ნათქვამია. სამწუხაროდ, ასეა მოწყობილი ადამიანის ბუნება. აქედან გამომდინარე, გაუჭირდა და გაუხანგრძლივდა მსოფლიო პოლიტიკურ ელიტას რუსეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.

- ფაქტია, არცერთი მხარე არ იხევს უკან, თუმცა ზელენსკი პირდაპირ ეუბნება პუტინს, აღარც ნატო ჩანს, არც მისი შეიარაღება და მივუსხდეთ მოლაპარაკებების მაგიდასო.

- ზელენსკი ყველა ღონით ცდილობს, შეიტანოს ომის რეალობაში მოლაპარაკებების მაგიდა, მაგრამ ხომ ვხედავთ, რომ არ არის ეს ინსტრუმენტი ქმედითი და ისიც მეეჭვება, ოდესმე გახდეს. რუსეთმა რა პირობებიც დააყენა, იმ პირობებშივე ჩადებულია ელემენტი, რაშიც იგულისხმება, რომ ის მთელი უკრაინის დაპყრობას ცდილობს. ვგულისხმობ ფრაზას - „ნაცისტური ელემენტებისგან უნდა გავწმინდოთ უკრაინა და ხელისუფლება უნდა შევცვალოთ“.

- ანუ სურს ისეთი ხელისუფლის დასმა, რომელიც პირადად მისი მარიონეტი იქნება. ამ დროს ლავროვი აცხადებს, არ ვაპირებთ უკრაინის ანექსიასო.

- არ აპირებენ და... ახდენენ.

- რა სურთ მაშინ, ხომ დაანგრიეს, დახოცეს, დაბომბეს?

- უნდათ, უნდათ. რუსეთი იმით სარგებლობს, რომ ადამიანები ხშირად უჯერებენ ნათქვამს, არადა, არ შეიძლება რუსეთის სიტყვების დაჯერება.

- რა უნდა ქნან ამ ვითარებაში ზელენსკიმ და მისმა გუნდმა?

- ზელენსკის ჯერ პირველი რაუნდის ამოცანა აქვს შესასრულებელი - შეაჩეროს კიევის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლები, დაიცვას დედაქალაქი, შემდეგ - საერთოდ გაათავისუფლოს ქვეყანა რუსის ჯარისგან და რაც შეიძლება დიდხანს გაძლოს. დრო ახლა ზელენსკიზე მუშაობს. რაც უფრო გახანგრძლივდება ომი, რუსეთი კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობს დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს.

- რუსეთმა კარგად იგრძნო ამ სანქციების გავლენა, მაგრამ უკან არ დაუხევია, განაცხადა, საკმარისად გვაქვს საკუთარი სახსრებიო.

- ამაშია საქმე, ჯერ კიდევ ვერ იგრძნო კარგად, რადგან ისევ ცხოვრობს შემონახული რეზერვებით, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება - გამოელევა ფული და შემდეგ რას იზამს, ესეც საკითხავია. ვხედავთ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ბრენდები და კომპანიები გავიდნენ რუსეთიდან, ბანკებს ჩაეკეტათ გზა, ბიზნესი ზედიზედ კარგავს პოზიციებს, თანხებს... ყველა ეს ნაბიჯი რუსეთზე სერიოზულად იმოქმედებს გარკვეული დროის შემდეგ. ამ ეტაპზე ვერ ახდენს სანქციები იმ დამანგრეველ მოქმედებას, რაც ჩაფიქრებულია, ვერც მოსახლეობა გრძნობს ზიანს, რადგან მეტ-ნაკლებად უძლებს საერთაშორისო ბაზრებიდან გამოთიშვას. მეტ-ნაკლებად იმიტომ ვთქვი, რომ რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში ტალონებით გაიცემა საკვები (მოსკოვსა და პეტერბურგზე არ არის ლაპარაკი).

- ევროკავშირში უკრაინის კანდიდატად მიღება რა ზეგავლენას მოახდენს ომის შეწყვეტაზე?

- როდესაც უკრაინის ამ თხოვნას აყენებენ, იქვე აყოლებენ, ამ სტატუსს სიმბოლური ხასიათი ექნებაო. მგონი, 20 წელზე მეტია, რაც ევროკავშირში შესვლის კანდიდატია თურქეთი, მაგრამ წევრად კიდევ არ მიუღიათ. მოგეხსენებათ, ყველამ უნდა თქვას თანხმობა, რასაც ვერ მიაღწიეს ამ ქვეყანაში არსებული რიგი პრობლემების გამო.

- უკრაინასაც ეს ბედი ელის?

- ვფიქრობ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ გაუჩნდებათ უკრაინის წევრად მიღების სურვილი, რადგან კონფლიქტში მყოფი ქვეყანაა. წარმოიდგინეთ, როგორც კი წევრი გახდება უკრაინა, მის მოქალაქეებს გაეხსნებათ შენგენის ზონა, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ ევროპაში შეზღუდვების გარეშე თავისუფალ მიმოსვლას.

- და ეს რატომ იქნება მათთვის პრობლემა?

- იმიტომ, რომ ომის პირობებში მიგრაციის ტალღა ძალიან დიდი იქნება.

- ლტოლვილებს ხომ მაინც იღებენ?

- ლტოლვილებს იღებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში რეგულაციის საშუალებაც აქვთ, თანაც, ლტოლვილად მიღების დროს სტრუქტურები ყალიბდება, რაოდენობა თანხმდება, ყველაფერი ოფიციალურად ფორმდება, მაგრამ როდესაც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ბილეთი აიღოს და ჩავიდეს, მიგრაციის რეგულირება შეუძლებელი გახდება. მსგავს ვითარებაში პრობლემად ექცა ევროპას აღმოსავლეთიდან სტიქიურად წამოსული მიგრაციული პროცესები და ახლა ერიდება უკრაინიდანაც ანალოგიური სიტუაციის შექმნას.

- როგორ შეაფასებთ ღარიბაშვილის პოზიციას?

- მას უჭირავს პრაგმატული, რეალისტური პოზიცია. გინდა დამარცხდეს და გინდა გაიმარჯვოს რუსეთმა, საქართველო ყველა ვარიანტში საფრთხის წინაშე დგას. თუკი უკრაინაში დამარცხდება, პუტინს მოუნდება ისეთი რეგიონის დაძლევა, სადაც უკვე გაუმარჯვია, თუ გაიმარჯვებს - უკრაინის სადამსჯელო ოპერაციას მიაყოლებს საქართველოს, რომელსაც ნატოში გაწევრიანება ისევე უნდა, როგორც უკრაინას.

- ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში კანდიდატად მიღების სწრაფი წესით განხილვის შესახებ რას იტყვით - შანსი გვაქვს?

- შანსი ნამდვილად გვაქვს. ვიმეორებ, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტას უწევს ანგარიშგება საკუთარ მოსახლეობასთან. მათთვის უფრო გასაგები იქნება, რომ სამი ქვეყანა, რომელთაგან ერთში ომობს რუსეთი, მიიღონ კანდიდატად, ვიდრე მიიღონ მხოლოდ ის, სადაც ახლა ომია.

- თუკი მართლა მიგვიღეს თუნდაც ევროკავშირის კანდიდატად, მაშინ ხომ გადავრჩებით რუსეთის სადამსჯელო ოპერაციას?

- ვერა. კანდიდატობა კი არა, ნატოს მაპიც რომ მივიღოთ (რაც კანდიდატობის ეკვივალენტია), მაშინაც ვერ გადავრჩებით. ამაზე იყო საუბრები, რომ უნდა გამარტივდეს ნატოში მიღების პროცედურები. თუკი მყისიერად გავწევრიანდებით, ისევე, როგორც ჰპირდებიან ფინეთსა და შვედეთს, 20 წუთში გაგაწევრიანებთო, მაშინ დაცული ვიქნებით, სხვა შემთხვევაში, ვერ გადავრჩებით, რადგან თუკი ხანგრძლივი ფიქრი დაიწყეს, რუსეთი დაგვარტყამს.

- შეუძლებელია არ შევეხოთ რუსი მოქალაქეების დიდი ნაკადის შემოდინებას. ზოგიერთი ამბობს, პუტინის რეჟიმს გამოექცნენ და ბიზნესების გადარჩენა სურთო, სხვები კი სულაც მეხუთე კოლონად მოიხსენიებენ - პუტინი ასე უშვებდა ყირიმსა და უკრაინაში საკუთარ მოქალაქეებს და შემდეგ ომობდაო.

- აი, ამ მეორე წინადადების აზრი არ მესმის. ჯერ ერთი, ეს ხალხი აქეთ ცოლშვილით ჩამოდის, მეორეც - პუტინს საქართველოს ტერიტორიაზე ორი ბაზა აქვს: აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ფეხისწვერებზე შემოპარვა რაში სჭირდება?! იქ არსებული ტანკების დაქოქვითაც ნახევარ საათში გადაკეტავს საქართველოს. ავტობანზე რომ დააყენოს, ხომ გაწყვეტილია ჩვენი ქვეყანა შუაში?!

- ბელარუსები თუ ეხმარებიან რუსებს უკრანელების წინააღმდეგ ბრძოლებში?

- რამდენადაც ვიცი, თავის არიდებას ცდილობენ.

- რადიკალური ოპოზიციის პოზიციას როგორ შეაფასებთ? საკაშვილის განცხადებაც საინტერესო იყო - უკრაინის მთავარსარდალმა შემომითვალა, აქ გვჭირდებიო.

- თვითონ რამდენად სერიოზულად იღებს, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ თუ არა სერიოზულად, ეს არის საკითხავი. მიშამ ისიც კი განაცხადა სასამართლოს ერთ-ერთი პროცესის დროს, ნუ მაკავებთ, მაღალი თანამდებობის პირი ვარ და ამდენი დრო არ მაქვსო.

- სწორედ ოპოზიციის გამო გაიწვიეს უკრაინის ელჩი საქართველოდან და ისიც თქვეს, ეს რა უვარგისი ხალხი ყოფილხართ ქართველებიო...

- უკრაინაში ჩვენზე ასეთი აზრიც მუსირებს და საპირისპიროც. ყველას ერთნაირად ნუ შევაფასებთ. ის მასალაც გავრცელდა, უკრაინელები ქართველებს დიდ პატივს ვცემთო. ჩვენი პრობლემა მუდამ ის იყო, რომ ციხე შიგნიდან ტყდებოდა და ახლაც იგივე ხდება. ის, რაც დეკანოიძემ გააკეთა, სამწუხარო ფაქტია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე საკაშვილმა დალატის მუხლი ამოიღო კოდექსიდან. ეტყობა, იცოდა, რასაც აკეთებდა...

- ბატონო რამაზ, თუ შეიძლება რეზიუმე გავაკეთოთ - მაინც რა გველის?

- პირველი ისაა, რომ სასიცოცხლო საფრთხე ჯერ არ გვემუქრება, მაგრამ არც იოლი პერიოდი გველოდება. თუკი გააგრძელა პუტინმა საომარი მოქმედებები და ისე განვითარდა მოვლენები, როგორც ჩაფიქრებული აქვს, მაშინ მართლა უნდა დავფიქრდეთ მომავალზე. ფაქტია, პუტინს სურს უკრაინის დაპყრობა. თუკი ამას მიაღწევს, მის წინააღმდეგ კიდევ უფრო გამკაცრდება სანქციები, რუსეთის ეკონომიკური სისტემა ჩამოიშლება.

- რუსეთმა ეს არ იცის?

- პუტინის ხელშია ბერკეტები, ის კი არაფერზე ფიქრობს, საკუთარი ჟინი აწუხებს, მთავრობის დანარჩენი წევრები ძალიან ცუდ დღეში არიან, მილიონებს კარგავენ ყოველდღე. თუკი რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშლება, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ვერ მოახერხებს ჯარის შენახვას, მის ჯარისკაცებს ახლაც ეტყობათ, რომ გაქურდული არიან, საწვავს ვერ ასხამენ ტანკებში. ეკონომიკის ჩავარდნის გამო, თუკი ჯარი და რეგიონები ვერ შეინახა, რუსეთი დაშლას დაიწყებს. ახლახან შეუთვალეს ცხინვალსა და სოხუმს, შემცირდება მოსკოვიდან თქვენი დაფინანსება 85-დან 15 პროცენტამდეო. მხოლოდ ეს რეგიონები ხომ არ ჰყავს რუსეთს? ანუ რეგიონები დაიწყებენ სხვა პატრონების ძებნას. ვიმეორებ - მოხდება ის, რასაც დაშლა ჰქვია. საბჭოეთის დაშლის პროცესებზე უფრო მტკივნეული და სტიქიური პროცესები განვითარდება.

- მერე ეს ხომ კარგია ჩვენთვის?

- არა, ჩვენთვის ეს ძალიან დიდი სირთულის მომტანი იქნება, რადგან, წარმოიდგინეთ, საით გამოსწევენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და რას მოსურვებენ ისინი საქართველოსგან?.. ანუ ჩვენი ქვეყანა ისევ და ისევ დიდ პრობლემებში გაეხვევა.

> *„სასიცოცხლო საფრთხე ჯერ არ გვემუქრება, მაგრამ არც იოლი პერიოდი გველოდება. თუკი გააგრძელა პუტინმა საომარი მოქმედებები და ისე განვითარდა მოვლენები, როგორც ჩაფიქრებული აქვს, მაშინ მართლა უნდა დავფიქრდეთ მომავალზე. ფაქტია, პუტინს სურს უკრაინის დაპყრობა. თუკი ამას მიაღწევს, მის წინააღმდეგ კიდევ უფრო გამკაცრდება სანქციები, რუსეთის ეკონომიკური სისტემა ჩამოიშლება*

„ქალები და ბავშვები მოდიან, დაღლილები, უძილოები, დაუძლურებულები, რა მტრები, რის აგრესორები... მსგავსი არაფერია“

ხატია იაშვილი 591 98 24 26

როცა გაირკვა, რომ რუსეთი, მისთვის დაწესებული სანქციების გამო თუ სხვა მიზეზით, ათასობით ადამიანმა დატოვა და უმრავლესობამ საქართველოში ჩამოსვლა არჩია, ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა მაშინვე დაიწყო მწვავე მოწოდებები - არ მიაქირაოთ ბინები რუსებს, არ მოემსახუროთ, არ დაელაპარაკოთ რუსულად, ესაუბრეთ ინგლისურად, შეუქმენით დისკომფორტი, აგრძნობინეთ, რომ მხარს უკრაინას უჭერთ...

ამ კამპანიურ მოწოდებას მალევე მოჰყვა საზოგადოების მეორე ნაწილის გაფრთხილებაც ქსენოფობიის საფრთხეზე. მსჯელობდნენ იმაზე, რომელია პროტესტის სწორი ფორმა. გაჩნდა პასუხები კითხვაზეც, რატომ ვშფოთავთ, რა შეიძლება მოჰყვეს ამ მასობრივ მიგრაციას საქართველოსთვის და სხვა. სად გადის ზღვარი ბრაზსა და მხარდაჭერას შორის ისე, რომ არც სიძულვილი მოგერიოს და არც ქსენოფობიის საფრთხის წინ აღმოჩნდე?

როგორც ვთქვით, საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ აგრესორის ქვეყნიდან წამოსულ ადამიანებს არ უნდა მიაქირაო ბინა, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი ანგარებით მოქმედებს და სამმაგ, ხან კი ხუთმაგად აქირავებს ბინებს რუსებზე.

რას ამბობენ მაკლერები?

გავესაუბრეთ უძრავი ქონების გაყიდვების აგენტებს, რომლებმაც ბაზარზე არსებული, საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოგვიდგინეს. მათი უმეტესობა თვლის, რომ რუსები და ბელარუსები გამოექცნენ პუტინის რეჟიმს და აქ ჩამოვიდნენ, რადგან გვიცნობდნენ, როგორც სტუმართმოყვარე ქვეყანას.

მაყვალა დავლაძე: - ათი წელია, უძრავი ქონების აგენტი ვარ, ძალიან ბევრი რამ მინახავს, ბევრიც გამიგია, მაგრამ რაც ახლა ხდება, სრულიად ახალი რეალობის წინაშე გვაყენებს. ხალხის ამხელა ნაკადი, რომელიც ეძებს ბინებს საქირავებლად, არასდროს ყოფილა. თან, კარგად იცით, როგორი დამოკიდებულება აქვთ თავად ბინის მეპატრონეებს - ზოგიერთი წინააღმდეგია, რუსებს ბინა მიაქირაოს, ზოგი კი იმხელა ფასს ადებს, სიმართლე გითხრათ, მერიდება კიდეც გაჟღერება. ვიცით, რომ რუსეთ-უკრაინის სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს. ისიც ვიცით, რომ რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია, მაგრამ ის ვერ გავიგე, აქ ჩამოსულებს რას ერჩიან. ისინი ხომ იმ დიქტატორს და ოკუპანტს გამოექცნენ, ვისაც ახლა მთელი ცივილიზებული სამყარო ეწინააღმდეგება და სხვადასხვა სანქციით ცდილობს მის დაჩოქებას. მე ვარ ქართველი პოეტი ქალი, ჩემთვის პატრიოტიზმი არ არის ლიტონი სიტყვები. ის, რომ უძრავი ქონების აგენტი ვარ, არ ნიშნავს, ფულის გამო ყველაფერზე წავალ. თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო საკუთარი მოქალაქეების ანგარება. ბევრი, პატრიოტიზმზე რომ აკეთებს აქცენტს, საკუთარ ქართველებს უძვირებს ბინებს და ისეთ თანხას ითხოვს, არანაირ განზომილებაში რომ არ ჯდება. ან იგივე რუსები და ბელარუსები, რომლებმაც მე მომმართეს, ყველა ხომ არ არის მტერი? ისეთი გასაცოდავებული ჩამოვიდნენ ბელარუსები, ძლივს გამოვექეცით ხელისუფლების დევნასო, რომ ძალიან შემეცოდნენ. ოჯახებით ჩამოდიან. ვინ წამოიყვანს ცოლ-შვილს მეხუთე კოლონის შესაქმნელად? ეს საერთოდ აბსურდულ იდეად მიმაჩნია. პუტინს რომ მოუნდეს ჩვენთან ომი, რა კოლონა დასჭირდება, გამოისეირნებს, 2008-ში რომ შემოვიდა ისე და რამდენი ჩვენი ახალგაზრდაც არ უნდა შეაწყდეს, მაინც ვერაფერს გავხდებით. ყველა ჩამოსული მეუბნება, რომ არის ოპოზიცია, სურს აქ დროებით ცხოვრება - 2-3 თვით, გადაიხდის ნებისმიერ თანხას, რა უნდა ვუთხრა, რომ ჩვენ მტრებად მიგვაჩნია და ვერ დავეხმარებით? მე არ ვეხმარები უშუალოდ მოსკოვიდან ჩამოსულებს, ბელარუსებს ვღებულობ და იქ რაც ხდება და პუტინმა როგორ გამოუვალ მდგომარეობაშიც ჩააგდო ეს ხალხი, ყველამ ვიცით. თან შემოვიდნენ საქართველოში ძალიან რთულად, ზოგი პოლონეთის გავლით და ზოგიც - სტამბოლის. ისეთ წერილებს მწერდნენ, რომ ვტიროდი მთელი ღამეები. არ შეიძლება, ასე ხელაღებით ყველა ერთ ქვაბში მოხარშო და მტრად შერაცხო. ქალები და ბავშვები მოდიან, დაღლილები, უძილოები, დაუძლურებულები. რა მტრები, რის აგრესორები... მსგავსი არაფერია. რა ხდება სოციალურ ქსელებში, ალბათ, თავად კითხულობთ. ისეთი გაბოროტებული და გაავებულია ხალხი, მათი უფრო შეგეშინდება, ვიდრე აქ ჩამოსული რუსების და ბელარუსების. ქართველებმა სახე არ უნდა დავკარგოთ. ეს არის მთავარი, სწორედ აქ იკითხება პატრიოტიზმი და საკუთარი ერის სიყვარული. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ქართველები, ნუ დავივიწყებთ, საიდან მოვდივართ და რა გორისა ვართ. აგრესორს თავად ნუ დავემსგავსებით.

ვახტანგ ცოკილაური, გაყიდვების მენეჯერი: - ჩვენი კომპანია „კოპალა“ მხოლოდ საკუთარ კლიენტებზე ზრუნავს, აქედან გამომდინარე, ვერიდებით რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეებისთვის ბინის მიქირავებას ან მიგირავებას. სიმართლე გითხრათ, თავად მათი ეროვნებაც გვაყენებს ნეგატიური ემოციების წინაშე. ბინების გამქირავებლები გვაფრთხილებენ, რომ რუსები არ ვუხსენოთ. რაც შეეხება საფრთხეს, არსებობს კანონი, რომლის გათვალისწინებით მდგმურს აქვს უფლება, ქირის გადაუხდელად იცხოვროს ბინაში, სანამ მეპატრონე სასამართლოში არ შეიტანს სარჩელს მისი გამოსახლების თხოვნით. კარგად იცით, რომ ამ შემთხვევაში იკარგება რამდენიმე თვე, შესაბამისად, გამქირავებელი კარგავს თანხას. ალბათ, ამის გამო ერიდებიან რუსებისთვის ბინების მიქირავებას. რამდენიმე რუსი მოქალაქე შემეხმიანა, მაგრამ უარით გავისტუმრე. გნებავთ ეს პატრიოტიზმში ჩამომართვით, გნებავთ - პროფესიონალიზმში. ჩვენს კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, უარი უთხრას რუსებს ყველანაირი სერვისის მიწოდებაზე და ეს არ მიგვაჩნია ქსენოფობიად. რუსეთ-უკრაინის სისხლისმღვრელი ომი ყველა ჩვენგანში იწვევს პროტესტს რუსეთის აგრესიის და მისი დიქტატორი პრეზიდენტის წინაშე. ეს უნდა იგრძნოს რუსმა ხალხმა და თავად გადაიყენოს პუტინი. აქ ჩამოსულები ამბობენ, ოპოზიცია ვართ და გამოვექეცითო, მაგრამ წამოსვლას სჯობია, ებრძოლონ პუტინის რეჟიმს და მთელი მსოფლიო გაათავისუფლონ მისგან. საქართველოს ტერიტორიების 20% წაიღეს და კიდევ აქ უნდა ჩავასახლოთ? აღარ ეყოთ ქართული მიწები, სადაც თავად არიან განლაგებული?!

ბერდია არაბული, გაყიდვების მენეჯერი: - რუსები კი მოგვმართავენ, მაგრამ არ ვეხმარები. მეპატრონეებს არ სურთ გაქირავება, რუსებს არ შევუშვებთო. როდესაც ვურეკავ და ვეუბნები, რომ რუს მოქალაქეებს სურთ ქირაობა, მლანძღავენ. თანაც ხმა გავარდა ბათუმში, ლტოლვილებს ვერ გამოასახლებო. რუსებიც ლტოლვილები გამოდიან, თუკი პუტინის რეჟიმს გამოექცნენ. იცხოვრებენ, სანამ სასამართლოში უჩივლებენ და შემდეგ გაიქცევიან ქვეყნიდან, რა დაამაგრებთ აქ? არ ვარ პოლიტიკაში ჩართული, არ მაინტერესებს, მაგრამ ის, რაც უძრავი ქონების ბაზარზე ხდება, ნამდვილად უჩვეულოა. ფასები ასტრონომიულია, ასეთი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ვერც ბინას ნახავ საქირავებლად. წინააღმდეგობებითაა აღსავსე ურთიერთობები მეპატრონეს და დამქირავებელს შორის. ძალიან დაძაბული ვითარებაა, რომელიც არ ვიცით, რაში გადაიზრდება.

ამ საკითხზე ვესაუბრეთ სამართლის მაგისტრს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ადვოკატ ***ზურაბ ცეცხლაძეს.***

- ბატონო ზურაბ, რამდენად შესაძლებელია, რომ მდგმურმა არ დაცალოს ბინა? ადრე ეს არ იყო პრობლემა - პოლიციას გამოიძახებდი და გაჯიუტებული ადამიანი გამოჰყავდა პატრულს.

- 2012 წლამდე გამოსახლებებს ნამდვილად აწარმოებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, მაგრამ 2012 წლის შემდეგ შეიცვალა კანონი და გამოსახლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

- გამოდის, ნებისმიერ მდგმურს შეუძლია, შევიდეს ბინაში და შემდეგ არ გამოვიდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ სასამართლოს განაჩენი არ იქნება?

- აქ არის მეორე საკითხიც, დამქირავებელს ხელს არ უნდა აძლევდეს სასამართლოში წასვლა, ვინაიდან რა ვადის განმავლობაშიც იქნება მის სარგებლობაში ბინა და არ ჩააბარებს მესაკუთრეს მის საკუთრებას, იმდენი თვის განმავლობაში მოუწევს თანხის გადახდა. სასამართლო დააკისრებს ამას.

- რამდენ ხანში ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება?

- სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეიძლება მიეცეს დაუყოვნებლივ აღსრულებას.

- რომ უჩივლოს ზედა ინსტანციებში?

- დროს იმით ვერ გაწელავს, რომ სასამართლოს ზედა ინსტანციებში იდავებს. თანაც, როგორც გითხარით, დამქირავებელს არ უნდა აძლევდეს ხელს ბინაში დარჩენა, ვინაიდან გასვლა მაინც მოუწევს და თანაც დაეკისრება თანხები როგორც ბინით სარგებლობის, ასევე სასამართლოსა და ადვოკატისთვის.

- სხვა გზა არ არსებობს გამქირავებლისთვის თავის დასაზღვევად? ამ შემთხვევაში რუს მოქალაქეებზე გვაქვს საუბარი...

- გაქირავებისას კარგი იქნება, გამქირავებელმა დამქირავებელს დეპოზიტზე დაადებინოს თანხა გარანტიის მიზნით. ვინაიდან ჩამოსულებს ქონების სახით გარანტიებს ვერ მოსთხოვ ხელშეკრულების შეუსრულებლობისა და ბინის დაუცლელობისთვის, კარგი იქნება თანხის დეპოზიტზე დადება და ამით გარანტიის შექმნა. თუ არ დაცლის ბინას, დეპოზიტზე გარანტიის სახით დადებული თანხა გამქირავებელს დარჩება.

რუსების პოზიცია

ფეისბუქით დავეკონტაქტეთ რამდენიმე რუსს, რომლებმაც გულწრფელად გვითხრეს, რომ გმობენ პუტინის აგრესიას და იმიტომ ჩამოვიდნენ აქ.

ლიუბოვ პეტროვა: - რუსი ვარ და დღეს მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი ჰყავს. კარგა ხანია ვიბრძვით მისი დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. აღარ მინდა იქ ცხოვრება, ევროპა ჩემთვის ამომავალი ვარსკვლავია და ახლა, როდესაც გადაგვეკეტა დასავლეთის კარები, აღარ დავრჩები იქ, სადაც მხოლოდ ძალმომრეობაა. ჩემთვის საქართველო ყოველთვის განასახიერებდა სტუმართმოყვარე ქვეყანას. ბავშვობიდან ჩამოვდიოდი აქ. ბევრი მეგობარი მყავს, ვეცდები, გამოვასწორო ის შეხედულება, რაც პუტინის გამო შეიქმნა ჩემი ერის მიმართ... ცოტა ქართული ვიცი და გული მეტკინა, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდამ ქართულად შეგვაგინა. ჩემს ქალიშვილს არ ვუთხარი, რა თქვეს, თუმცა ვერც იმ ბიჭებს შევეკამათე... რას ვიზამთ, უნდა ვაღოთ პასუხი.

ვიქტორ მოროზოვი: - ცოლი უკრაინელი მყავს, რუსეთში ვცხოვრობდით, აღარ გავჩერდით იქ, რადგან საშინელება იყო, რასაც უკრაინაში სჩადიოდნენ ჩვენი „ქებული“ ჯარის ნაწილები. როგორ შეიძლება სლავმა სლავი მოკლას ან, საერთოდ, როგორ შეიძლება იომო 21-ე საუკუნეში?! ეს ხომ ბარბაროსობაა! პაციფისტი ვარ და ვერასდროს შევურიგდები ომებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს კაცობრიობამ, რომ იარაღი არ წყვეტს ურთიერთობას, ადამიანთა სიყვარულია საუკეთესო იარაღი. მაჰათმა განდიმ უიარაღოდ განდევნა ინგლისელები ინდოეთიდან და ჩვენ რაღა დაგვემართა? ვის ვკლავთ, რატომ ვკლავთ? იხოცებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები.... ახალგაზრდა ბიჭები... არ მესმის, რა სურს პუტინს, რით ვეღარ გაძღა სისხლით, კიდევ რამდენი ჩვენი თაობა უნდა დახოცოს, რომ შეაჩეროს ეს აგრესია?! მხოლოდ მისი სიკვდილი თუ გვიხსნის მთელ კაცობრიობას. მეტს ვეღარაფერს ვიტყვი, მხოლოდ პატიებას ვითხოვ უკრაინელებისგან და მთელი ცივილიზებული სამყაროსგან.

პეტრე გუბაევი: - წარმოშობით ოსი ვარ, მაგრამ კარგა ხანია, რუსეთში ვცხოვრობ. არანაირად არ ვეთანხმები პუტინის პოლიტიკას და არც საქართველო მიმაჩნია აგრესორად, როგორც ამას ჩემი ტომის ხალხი მიმტკიცებს. უკვე დიდი ხანია, რუსეთის მოქალაქეები ვართ. ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში გადმოვიდა მოსკოვში ჩემი წინაპარი, მაგრამ ყოველთვის იხსენებდა, რომ საქართველო იყო ჩვენი სამშობლო. ახლა იძულებული ვიყავი, აქ ჩამოვსულიყავი. ჟურნალისტი ვარ და აღარ დამედგომებოდა მოსკოვში. პირდაპირ მითხრეს ან წახვალ, ან... მოკლედ, წამოსვლა ვარჩიე. დარწმუნებული ვარ, დიდხანს არ მომიწევს აქ დარჩენა. აგრესორები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, პუტინმა იმაზე მეტის უფლება მისცა თავს, ვიდრე აქამდე. როგორც იქნა, დასავლეთი აღზევდა, დაიძრა და არ მოეშვება რუსეთს, სანამ არ ჩაძირავს. იმედი მაქვს, ერთად დავაღწევთ თავს დიქტატურას. ახლა საქართველოში ვარ და მიხარია, რომ ჩემი წინაპრებისგან სამშობლოდ მიჩნეულ მიწაზე ჩამოვედი. მე ცივილური ურთიერთობების მწამს და კაცობრიობის გონიერ ნაწილთან ყოფნა ვამჯობინე. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება და უკრაინა, დასავლეთი - გაიმარჯვებს!

მთავრობის პოზიცია

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, კულტურის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ქვეყანაში შემოსული რუსეთის მოქალაქეების შესახებ ილაპარაკა. მას მიაჩნია, რომ ეს ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. კულტურის მინისტრი ყურადღებას ამახვილებს „ქსენოფობიურ განცხადებებზე“: „დღეს რამე ტიპის რეალიზებადი საფრთხე, გნებავთ, საფრთხეები, არ არსებობს. რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოდიან, შემოდიან კანონის ისეთივე მკაცრი წესების დაცვით, როგორიც მოქმედებდა მანამდე, ეგრეთ წოდებული ფილტრი თუ ფილტრები, რაც არსებობს საზღვარზე. შეგახსენებთ, რომ ამ კანონის ინიციატორი იყო იუსტიციის სამინისტრო, როდესაც მე გახლდით მინისტრი. არ ვიცი, რა არ მომხვდა თავში მათი მხრიდან, როდესაც აკრიტიკებდნენ ამ კანონს და მასთან ერთად - მეც. კანონი შემუშავებულია პოლიციასთან და შესაბამის სასაზღვრო უწყებებთან ერთად. ეს კანონი არის ძალიან კარგი გარანტია იმისთვის, რომ ვინც არ არის კეთილი განზრახვით მოსული საზღვართან, ის ვერ შემოდის. ვინც შემოდის, ის არავითარი პრობლემის მატარებელი არ არის. არც სტატისტიკა არ აჩვენებს, რომ რამე ტიპის მატებაა. საშინელება ხდება ამ დღეებში, ყველამ დაიწყო ეთნოსსა და ეროვნებაზე საუბარი. ეთნიკურად ქართველები წერენ, რომ ვარ ქართველი, მაგრამ არ მაქვს ტრადიციული კავკასიური გარეგნობა, ჩემივე თანამოქალაქეს რუსი ვეგონე და თავს დამესხა ქუჩაში. ეს არის წარმოუდგენელი რამ. იყო ასევე შემთხვევები, რომ თავს დაესხნენ ადამიანს ომის პარტიის მიერ წაქეზებული, ან მათი პარტაქტივის წარმომადგენლები და აღმოჩნდა სულაც უკრაინელი. აქედან გამომდინარე, ფობიები გვერდზე უნდა გადავდოთ, ეს არის სირცხვილი. უნდა იპოვოს ამ პარტიამ თავის თავში ძალა, რომ ეს ქსენოფობიური განცხადებები შეწყვიტოს“.

„ამჟამად ყველა კლასსა და სკოლაში სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში მიმდინარეობს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ, სკოლებში სასწავლო პროცესი განახლდა. ჩვენი სტუმარია ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ***დურმიშხან შავიშვილი.***

- ბატონო დურმიშხან, 16 წელია ამ სფეროს ხელმძღვანელობთ. რა სირთულეებს წააწყდით მიმდინარე სასწავლო წელს?

- დიდი მადლობა, ქედის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებით რომ დაინტერესდით. თქვენი გაზეთი აქტიურად და ობიექტურად აშუქებს ჩვენი კუთხისთვის საჭირბოროტო საკითხებს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ნამდვილად მძიმე გასახსენებელია ის სიტუაცია, რაც კორონავირუსმა შექმნა. სკოლები უკვე მეორე წელია რეგულაციების რეჟიმში მუშაობს, კიდევაც შევეჩვიეთ ვირუსთან ერთად ცხოვრებას. პედაგოგთა თითქმის 90% ვაქცინირებულია. საკმაო რაოდენობის მოსწავლეც. მაქსიმალურად ვიცავდით რეკომენდაციებს. ვირუსის გავრცელების პიკზე, იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში, იყო სკოლები, სადაც მხოლოდ ონლაინრეჟიმში წარიმართა სწავლება. ამჟამად, ყველა კლასსა და სკოლაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საკლასო ოთახებში. გარკვეული კორექტივები შეიტანა სასწავლო პროცესში დიდთოვლობამაც. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი სარგებლობს სატრანსპორტო მომსახურებით. შესაბამისად, ამ კატეგორიას შეექმნა გადაადგილების პრობლემა, იმატა გაცდენებმა. პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაქსიმალურად ცხადდებოდნენ სკოლებში და ატარებდნენ გაკვეთილებს, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ იმ მოსწავლეებს, ვინც ვერ შეძლო სკოლაში მისვლა, უკავშირდებოდნენ და ეხმარებოდნენ მათ. მკაცრი ზამთარი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის უცხო არ არის, ასე რომ, სკოლებს აქვთ გამოცდილება, როგორ გაუმკლავდნენ ამ სახის პრობლემებს. გარდა ამისა, დღევანდელი ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობას, სრულფასოვანი გაკვეთილი ჩაუტარდეს მოსწავლეს ონლაინრეჟიმშიც.



- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ახლა რა მდგომარეობაა?

- როგორც წესი, ყოველწლიურად მომზადებული ვხვდებით ზამთარს, სკოლები მომარაგებულია შეშით და გათბობისათვის საჭირო საწვავით. ასევე, პანდემიიდან გამომდინარე, სკოლებს აქვთ სადეზინფექციო ხსნარების, პირბადეებისა და ზოგადად, რეგულაციების დაცვისათვის საჭირო მასალების საკმარისი მარაგი. ხშირად ვახორციელებთ მონიტორინგს რესურსცენტრიც და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. თუ გვაქვს რამე შენიშვნა, სკოლები დროულად რეაგირებენ. თუ პრობლემის გადაჭრა აღემატება მათ შესაძლებლობებს, მაშინ ერთვება სამინისტრო ან მუნიციპალიტეტის მერია.

- პოლიტიკური პროცესების გამო, დაბა ქედის ტერიტორიაზე ქართული სკოლის აღდგენის საუკუნოვანი იუბილე ზედაპირულად, დაპირისპირების ფონზე აღინიშნა...

- დაბა ქედის საჯარო სკოლა 1903 წელს დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით. იგი თავის დროზე და ახლაც, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. 2003 წელს რესურსცენტრში არ ვმუშაობდი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ სკოლის საუკუნოვანი იუბილე საკმაოდ დიდი მასშტაბით აღინიშნა და ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს იყო - ზერელედ. ამჟამად, სკოლა საფუძვლიანად ემზადება 120 წლის იუბილეს აღნიშვნისათვის.

- თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა რა ფაქტორებმა განაპირობა?

- 2006 წელს, კონკურსის საფუძველზე დავინიშნე ამ თანამდებობაზე და დღემდე ვაგრძელებ მუშაობას. ქედის მუნიციპალიტეტი პატარაა და ყველა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. ალბათ, ნდობაც იყო. რთულია საკუთარ თავზე საუბარი, სჯობს საზოგადოებამ შეგვაფასოს.

- სოფლები მოსახლეობისგან იცლება, რაც სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტზეც აისახება. ამ მიმართებით ქედაში რა მდგომარეობაა?

- ეს განსაკუთრებით მტკივნეული თემაა. მიგრაცია ჩვენს მუნიციპალიტეტსაც

> *„ამჟამად მიმდინარეობს დაბა ქედის საჯარო სკოლის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. შენობა გათვალისწინებულია სპორტის რამდენიმე სახეობისთვის, სრულდება ვაიოს საჯარო სკოლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია. ამ პროექტებზე ჯამურად დაიხარჯება 1 632 600 ლარი*

- **მუნიციპალიტეტის 10 სკოლის სერტიფიცირებულ დირექტორს 2020 წელს ამოეწურა ვადა, უმეტესობამ მუშაობა გააგრძელა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად და ამ ეტაპზე ყველა სკოლაში ასეა, თუმცა, ეს არ ახდენს გავლენას მუშაობის ხარისხზე. ისინი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. წელს ველოდებით დირექტორების სასერტიფიკაციო გამოცდებს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. თუ რომელიმე სკოლაში გვყავს დროებითი ხელშეკრულებით მომუშავე პედაგოგი, სამომავლოდ სერტიფიცირებული კადრებით ჩანაცვლდება ან თვითონ ეს მასწავლებლები გახდებიან სერტიფიცირებულები.**

- სკოლების საქმიანობის საზომად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კურსდამთავრებულთა შედეგებსაც მიიჩნევენ...

- ყოველწლიურად, დაახლოებით 100-120 აბიტურიენტი ხდება სტუდენტი ჩვენი მუნიციპალიტეტიდან. მათ შორის არიან 100%, 50% და 30%-პროცენტიანი გრანტის მფლობელები. შედეგებს დეტალურად ვაანალიზებთ და ვცდილობთ მის გაუმჯობესებას. მიხარია, რომ ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და არა მარტო აქ, უცხოეთშიც.

- წლების წინ სავალალო მდგომარეობა იყო სკოლებში. ამ ეტაპზე რა ვითარებაა?

- წლებია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, ახორციელებს ქვეპროგრამას „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“. მის ფარგლებში არაერთი სკოლის შენობის რეაბილიტაცია თუ მშენებლობა განხორციელდა, აღიჭურვა ახალი ინვენტარით, წიგნებით. შეიქმნა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სასწავლო დაწესებულებებს შეუძლიათ სამინისტროს სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსებით ისარგებლონ, გაამრავალფეროვნონ სასკოლო ცხოვრება და ამავდროულად, გაიუმჯობესონ მატერიალური ბაზა. გარდა ამისა, სკოლებს აქვთ ბიუჯეტში გარკვეული თანხა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. მოკლედ, დღეს არის უამრავი გზა, რომელიც სკოლებს განვითარების საშუალებას აძლევს.

- რა თანხებია მობილიზებული აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად?

- ამჟამად მიმდინარეობს დაბა ქედის საჯარო სკოლის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. შენობა გათვალისწინებულია სპორტის რამდენიმე სახეობისთვის, სრულდება ვაიოს საჯარო სკოლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია. ამ პროექტებზე ჯამურად დაიხარჯება 1 632 600 ლარი.

- ქედას წარმატებული ბიზნესმენები არ აკლია. თუ ეხმარებიან სკოლებს?

- რა თქმა უნდა. ყველას მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც არ ივიწყებს სკოლას. თუმცა ერთს მაინც გამოვყოფ - სოფელ ორცვაში, 2008 წელს, როცა ომით გამოწვეულ შედეგებს ვებრძოდით, ამ სოფლიდან წასულმა ბიზნესმენმა ლევან თურმანიძემ ააშენა სკოლა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყო. მართლაც მისაბაძი მაგალითია.

- იყო აზრი, რომ სკოლას, სადაც შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში სწავლობდა, მისი სახელი მინიჭებოდა...

- ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს ფრიდონ ხალვაშს არ ვივიწყებთ, ქედაში, მის დაბადების დღეს - 17 მაისს, ყოველწლიურად აღინიშნება „ფრიდონობა“, რომელშიც სკოლებიც აქტიურად არიან ჩართული. გვაქვს ფრიდონ ხალვაშის სახელობის სახლ-მუზეუმი. სასიამოვნო იქნება მისი სახელობის სკოლაც იყოს ჩვენს მუნიციპალიტეტში. ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

- იყო ქედაში პროფესიული სასწავლებლის გახსნის იდეა..

- ეს განათლების სისტემის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ჯერჯერობით, ჩვენთან აქტიურობს სსიპ „კოლეჯი ბლექსი“, რომელიც 2021 წლიდან ქედაში (ა. წერეთლის ქ. №4) ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კუთხით. ამჟამად, სტუდენტები შეისწავლიან მეფუტკრეობას ორწლიანი პროგრამით. ასევე, განხორციელდა მოკლევადიანი კურსები „ციფრული ტექნოლოგიები სასტუმროს ინდუსტრიაში“ და „საოჯახო სასტუმროს მართვა“. სამომავლოდ დაგეგმილია მევენახეობისა და მეღვინეობის პროგრამები.

- პედაგოგები, რომლებმაც მომავალი თაობის აღზრდას ათწლეულები შეალიეს, დამსახურებულ ჯილდოზე წავიდნენ. რა ვითარებაა ახალგაზრდა პედაგოგების სკოლებში დასაქმების მიმართულებით?

- სკოლაში თაობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია. სასიამოვნოა, როცა გამოცდილი პედაგოგების გვერდით ახალგაზრდები მუშაობენ, რომლებიც აქტიურად ითვისებენ მათგან წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას. როგორც ცნობილია, 2019 წელს, საპენსიო ასაკს მიღწეულმა მასწავლებლებმა, ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, სახელმწიფოსგან ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი მიიღეს. ჩვენს მუნიციპალიტეტში 78 პედაგოგმა ისარგებლა ამ ჯილდოთი. მათ აღზარდეს არაერთი თაობა და შექმნეს ისტორია, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა თქვენი გაზეთის საშუალებითაც მადლობა გადავუხადო. თუმცა მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სისტემაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების შემოსვლაც. პრაქტიკოსი მასწავლებლების წასვლის შემდეგაც გაჩნდა ვაკანსიები სკოლებში გასული წლის ბოლოს, რომელიც კონკურსის წესით შეივსო. სასიამოვნოა, რომ პედაგოგის პროფესიით დაინტერესება გაიზარდა, რაც ვფიქრობ, გატარებული ცვლილებების შედეგია. ძალიან კარგი ახალგაზრდა თაობა მოვიდა სკოლებში, რომელიც ღირსეულად ართმევს თავს პროფესიულ მოვალეობას. იმ საგნებში, სადაც გვაქვს კადრის მოძიების პრობლემა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში ხდება ვაკანსიის შევსება. ამჟამად, ამ პროგრამით ჩვენს სკოლებში დასაქმებულია ინგლისური ენის სამი პედაგოგი.

- უახლოეს პერიოდში რა მნიშვნელოვანი აქტივობებია დაგეგმილი?

- ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლები გულგრილი ვერ დარჩებოდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ვგმობთ რუსეთის აგრესიას, მით უმეტეს, რომ ომს ეწირება ბავშვთა სიცოცხლე და მომავალი. შესაბამისად, მონაწილეობა მივიღეთ სოლიდარობის აქციაში და დაახლოებით 12 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამედიცინო თუ საყოფაცხოვრებო ნივთი შევიძინეთ უკრაინაში გასაგზავნად. რესურსცენტრი წლებია თანამშრომლობს საქართველოს მშვიდობის კორპუსთან და არაერთი ამერიკელი მოხალისე გვყავდა, რომელიც დაგვეხმარა მოსწავლეების სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაში. თუმცა, პანდემიამ შეგვიშალა ხელი და მოხალისეების ჩამოსვლა შეჩერებულია. აქაც გამოვნახეთ გამოსავალი და შარშან პილოტირების სახით, ჩამოვაყალიბეთ მოსწავლეთა ინგლისურენოვანი ონლაინ კლუბი, ონლაინრეჟიმში ვიმუშავეთ უცხოელ მოხალისესთან ერთად. კლუბი ძირითადად ორიენტირებული იყო მოსწავლეთა წერითი და სალაპარაკო უნარების განვითარებაზე. წელსაც შევიტანეთ განაცხადი და ვიმედოვნებთ, რომ ავამუშავებთ ანალოგიურ პროექტს ახალი იდეებით. გარდა ამისა, იმედია, წელს მოგვეცემა საშუალება, ჩავატაროთ სხვადასხვა სპორტული, კულტურული თუ საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც გაწერილი გვაქვს რესურსცენტრის სამუშაო გეგმაში.

გველოდება თუ არა ეკონომიკური კრიზისი?

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

საქართველო ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა რუსეთ-უკრაინის ომის გამო. რუსეთზე დაკისრებული სანქციების გათვალისწინებით და ჩვენი ძირითადი პარტნიორი ქვეყნის ნგრევა-განადგურების ფონზე, რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით. ორმაგდება ფასები პროდუქტებზე. საქართველოში შემოსული რუსების დიდი ნაკადი იწვევს გაძვირებას და პანიკას ადგილობრივ მოსახლეობაში. ელოდებიან ფასების მკვეთრ მატებას ენერგომატარებლებზეც, რაც, ისევ და ისევ, ქართულ ეკონომიკას დაარტყამს.

ამ საკითხზე გთავაზობთ ეკონომიკის ექსპერტის, პროფესორ ***ლადო პაპავას*** *მოსაზრებას:*

- დღევანდელი გადასახედიდან ვერ გეტყვით, რომ რუსეთში მიმდინარე სავალუტო-ფინანსური კრიზისის (რომელიც აუცილებლად გადაიზრდება ეკონომიკურ კრიზისში) ფონზე საქართველოში 2022 წელს ეკონომიკური კრიზისი დაიწყება, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება აშკარად გაჭირდება. რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი 1998 წლის რუსეთის სავალუტო კრიზისამდე იყო, რომლის შემდეგ მას პირველობაში თურქეთი „ეცილებოდა“. პირველ-მეორე ადგილებზე ამ ქვეყნების მონაცვლეობა გაგრძელდა 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვის მიერ სასურსათო აკრძალვების შემოღებამდე. დღეისათვის, რუსეთი საქართველოს საგარეო-სავაჭრო პარტნიორებს შორის მეორე ადგილზეა. ძნელი სათქმელია, რომ რუსულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის დაბრუნება შეცდომა იყო. ჩემი აზრით, შეცდომა ის იყო, რომ აქცენტი მხოლოდ ამ დაბრუნებაზე კეთდებოდა, რადგანაც რუსულ ბაზარზე ხარისხის მოთხოვნა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს ევროსტანდარტებითაა გათვალისწინებული. ფაქტია, რომ რუსეთში უკვე დაიწყო სავალუტო კრიზისი და, რუბლის ნახტომისებური გაუფასურების ფონზე, რუსეთის ბაზრებზე საქართველოდან პროდუქციის შეტანა ყოველგვარ აზრს კარგავს. თანაც, მოსკოვმა აკრძალა სავალუტო გადარიცხვები, რაც რუსეთში მიღებული შემოსავლების რეპატრიაციას უცხო ქვეყნის ბიზნესმენებისთვის შეუძლებელს ხდის. იმავე მიზეზით შეუძლებელი გახდება რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების განხორციელება. მართალია, ბოლო პერიოდში ფულადი გზავნილების ჯამურ ოდენობაში რუსეთის წილი 15-დან 20 პროცენტამდე (შედარებისთვის: 2008 წელს ეს მაჩვენებელი, სულ ცოტა, 3-ჯერ მეტი იყო) მერყეობდა, მაგრამ ეს მაინც დიდი ოდენობაა. გასათვალისწინებელია აგრეთვე რუსეთიდან და უკრაინიდან ტურისტული ნაკადების შემცირებაც, ყოველივე ეს კი აისახება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებაზე, რაც აგრერიგად მნიშვნელოვანია ლარის სტაბილურობისთვის. 2021 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის უნდა ჩაითვალოს წარმატებულად, რადგანაც ჯერ კიდევ პანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობამ მიაღწია საქართველოს ეკონომიკის 10,5-პროცენტიან ზრდას.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2021 წელს 1152,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია 2020 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები) მაჩვენებლის გაზრდით. 2021 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 66 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, საქსტატის ცნობით, ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 443,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38,5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება გართობის, დასვენების და სხვა სახის მომსახურების სექტორი 230,5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი, 157 მლნ აშშ დოლარით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამა წლის პირველი მაისიდან იპოთეკური სესხის გაცემის წესი იცვლება.

რას გულისხმობს ცვლილებები და როგორ აისახება ის მომხმარებელზე, განმარტა საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა ***ალექსანდრე ძნელაძემ:***

- ცვლილებები, ძირითადად, საშუალო შემოსავლის მქონე პირებს შეეხებათ, რადგან მათი დიდი ნაწილი სესხს ვეღარ აიღებს. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა გასულ კვირას მიიღო ორი გადაწყვეტილება. პირველ შემთხვევაში, შემოსავლის ყოველთვიურ გადასახდელთან ცვლილება პირებისთვის, რომლებსაც 1000-დან 1500 ლარამდე აქვთ შემოსავალი. ეს წარმოადგენს სამომხმარებლო სესხების დაახლოებით 25%-ს. რეალურად, აღნიშნული ცვლილება ამ სეგმენტს შეეხება და ან შეიზღუდება დამატებითი სესხის აღება, ან შეუმცირდებათ თანხა, რომლის აღებაც შეეძლებათ. მეორე არის საპროცენტო განაკვეთის შოკის გათვალისწინება. საუბარია, 3%-იან შოკზე. ეხება ცვლად განაკვეთიან სესხებს, რომელთა დიდი ნაწილიც იპოთეკური სესხებია, რომელიც რეფინანსირებაზეა მიბმული. აღნიშნულ სესხებზე საუბარია შედეგზე, თუ, მაგალითისთვის, თქვენ იღებთ სესხს 7%-ში 10 წლის ვადით, თქვენი ყოველთვიური გადასახდელი გადაითვლება და გამოგივათ 100 ლარი გადასახდელი. ამ შემთხვევაში ყოველთვიური გადასახდელი ანგარიშდება 10%-ზე, ანუ ცვლად განაკვეთიან სესხზე. რეალურად, 10%-ში გადაითვლება დღეის მდგომარეობით, ლარში საკმაოდ მაღალია საპროცენტო განაკვეთი და აღნიშნული შოკის გათვალისწინება, თან შემოსავლის კოეფიციენტიც საკმაოდ მაღალია. ამიტომ, ლარში მოახდენს ეფექტს, თუმცა დიდად არა, ეს იქნება ძალიან მცირე ნაწილი. რაც შეეხება უცხოურ ვალუტას, ბევრად ნაკლებია შემოსავლის კოეფიციენტი. მეორე საკითხი - 15 წლიდან 10 წლამდე შეიზღუდა იპოთეკური სესხების დრო და ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, კიდევ უფრო გამკაცრებას. პრაქტიკულად, ყველა ამ გადაწყვეტილებით დიდი რაოდენობით ადამიანები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ სესხი აეღოთ უცხოურ ვალუტაში, ეს შესაძლებლობა შეეზღუდებათ, ან იმდენად მცირე თანხას მიიღებენ, რომ შეიძლება საინტერესოც აღარ იყოს. ყველაზე მეტად ეს შეეხება საშუალო შემოსავლის პირებს.

ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ეს არცერთ შემთხვევაში არ შეეხება საპროცენტო განაკვეთს:

- ეს არ არის კავშირში საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან. სიმულაციას ვაკეთებთ, ვითვლით, ვითომ გაზრდილია 3%-ით, ანუ, 3%-ით მეტი რომ მომეცა, რამდენს გადაიხდიდი. უბრალოდ, მომხმარებლის ბევრად ნაკლები რაოდენობა მიიღებს სესხს, ვიდრე ამ რეგულაციამდე შეეძლოთ. სებ-ის განცხადებით, აღნიშნული 3%-ით შეამცირებს სესხების მოცულობას. ახლა, დღევანდელ შოკურ მდგომარეობაში, ამის დაანგარიშება რთულია. ომის გამო, 2021 წელზე უფრო დაბალ აქტივობასაც ველოდებით, განსაკუთრებით - სამომხმარებლო მიმართულებით.

შეგახსენებთ, სებ-ის ცნობით, ეს ცვლილებები, რომელთა მიზანი მსესხებელი ფიზიკური პირების შოკის შეწოვის უნარის შენარჩუნებაა, ხელს შეუწყობს ფინანსურ სტაბილურობას და თანხვედრაშია FSAP-ის რეკომენდაციებთან.

სკაუტებმა ქალბატონებს უმასპინძლეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

25 წელზე მეტია, ჩვენს რეგიონში სკაუტებს დაუღალავად ემსახურება ადგილობრივი ორგანიზაციის პრეზიდენტი, მოზარდი თაობის სული და გული შორენა ლომაძე. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იმოგზაურა და გააცნო ჩვენი ქვეყანა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სკაუტინგი ქალბატონი შორენას ცხოვრებაა, რომელმაც უამრავი მეგობარი შესძინა არა მხოლოდ მას, არამედ თითოეულ სკაუტს. ასობით მოზარდმა ისწავლა, როგორ უნდა გახდეს მოწესრიგებული, შრომისმოყვარე, დამოუკიდებელი, ძლიერი, თავაზიანი, ინიციატივიანი...

სკაუტური მოძრაობა არასამთავრობო, ნებაყოფლობითი, არაპოლიტიკური ორგანიზაციაა და მსოფლიოს არაერთ ქვეყანას მოიცავს. მილიონობით სკაუტია დღესაც გაერთიანებული ამა თუ იმ ქვეყნის ორგანიზაციაში. ისინი ერთმანეთთან კონტაქტობენ, აწყობენ საერთაშორისო შეხვედრებს თუ ბანაკებს, რომლებშიც ქართველი, კერძოდ, აჭარის სკაუტები მონაწილეობენ. ახლა პანდემიის გამო აქტიურობა შენელდა, მაგრამ სკაუტები მაინც ახერხებენ სხვადასხვა საინტერესო სემინარისა თუ მცირერიცხოვანი შეხვედრის ჩატარებას.

„გაზაფხული შემოსულა ლენ!“ - ასე უწოდეს აჭარის სკაუტებმა ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელზეც აჭარაში მოღვაწე ქალბატონები მიიწვიეს.

სკაუტ-ლიდერმა მაიკო ბერიძემ მოკლედ შეახსენა შეკრებილთ თითოეულის ღვაწლი. აქ იყვნენ როგორც ხანდაზმული, ისე ახალგაზრდა ქალები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ თავიანთ სფეროში. რა თქმა უნდა, თითოეულის გამოსვლაში იგრძნობოდა დიდი გულისტკივილი უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებულ უსამართლო ომთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ესმა მამულაძემ სკაუტებს უკრაინული დროშის ფერებში საკუთარი ხელით შეკერილი შარფები უსახსოვრა.

- დღევანდელ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ახალგაზრდა თაობა გულისყურით უსმენდა უფროსებს. დღეს, როცა ასეთი მძიმე დღეები უდგას უკრაინას, ყველა ერთნაირად ითავისებს მათ ტკივილს. მოთმინება და გამძლეობა ვუსურვეთ უკრაინელ დედებს, ხალხს. არაერთი ქალბატონია ჩართული უკრაინელი ხალხისთვის ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების საქმეში, მათ შორის, ქალები. დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართველ ქალთა ერთიანობა და თანადგომა, - გვითხრა ჩიტო ომერაძემ.

- თბილი საღამო გამოვიდა, შთამბეჭდავი, სოლიდარობისა და მხარდაჭერის ერთგვარი ხიდი - ქართველი დედები -უკრაინელი დედებისთვის. მადლობა სკაუტებს ამ მოფერებისთვის, პატივისცემა და სიყვარული - ღირსეულ ქალბატონებს, - თქვა ჟურნალისტმა ირმა ჩხაიძემ.

- დიდი პატივია ჩვენთვის - სკაუტებისთვის, ასეთ საზოგადო მოღვაწეებთან, საპატიო ქალბატონებთან შეხვედრა. მადლობა, ამ შესაძლებლობებისთვის. გისურვებთ მსოფლიოში მშვიდობას, ქალბატონებს წარმატებას თავიანთ საქმიანობაში, - აღნიშნა მაიკო ბერიძემ.

ბევრმა ილაპარაკა იმ დღეს უსამართლო ომზე, რომელსაც რუსეთი მშვიდობისმოყვარე ხალხთან აწარმოებს. გამომსვლელთა შორის იყვნენ პოეტები ცისანა ანთაძე, ბელა ქებურია, პროფესორი ნერიმან ცინცაძე, ჟურნალისტი მედეა ჩარკვიანი, რუსუდან შავიშვილი, საშა ლეკვეიშვილი...

მასპინძლებმა სტუმრებს ჯერ ვიდეორგოლი წარუდგინეს, სადაც ყველა მოწვეული ქალბატონის შესახებ ითქვა, მერე თითოეულს თაიგული და ფასიანი საჩუქრები გადასცეს და ტკბილ სუფრასთან მიიპატიჟეს.

- გაზაფხულის პირველი თვე ქალბატონებთან ასოცირდება, ვისარგებლეთ შემთხვევით და ჩვენთან მოვიწვიეთ აქ მოღვაწე ქალბატონები, მოკრძალებულად მოვულოცეთ გაზაფხულის დღესასწაულები. ქართველმა დედებმა, სკაუტებმა თანაგრძნობა გამოვხატეთ უკრაინელი დედების მიმართ, გამძლეობა, „ჭირთა თმენა“ და მშვიდობიანი დღეები ვუსურვეთ მათ, - გვითხრა შორენა ლომაძემ.

ვლადიმირ სოლოვიოვს უკრაინა საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადებს

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის სახელმწიფო საგამოძიებო ბიურო ავრცელებს. მისი ცნობით, ლვოვის რაიონულმა სასამართლომ გამომძიებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა და პუტინის ხელისუფლების პროპაგანდისტს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ბიურომ დაადგინა, რომ ტელეჟურნალისტი ვლადიმირ სოლოვიოვი სისტემატურად უჭერდა მხარს რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ ქმედებებს უკრაინაში შეჭრის მიზნით და მოითხოვდა მისი ტერიტორიული მთლიანობის შეცვლას, მათ შორის სამხედრო ოპერაციების, ინფრასტრუქტურისა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების გზით.

გავრცელებული ინფორმაციით, გამომძიებლებმა შეაგროვეს დოკუმენტების საჭირო პაკეტი სოლოვიოვის საერთაშორისო ძებნილთა სიაში შესაყვანად, რომელსაც მალე უცხოელ კოლეგებს გაუგზავნიან.

შეგახსენებთ, რომ სოლოვიოვი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერ მარია ზახაროვასა და RT-ის ხელმძღვანელ მარგარიტა სიმონიანთან ერთად ევროკავშირის მიერ სანქცირებულთა სიაშია.

გარდა ამისა, 11 მარტს უკრაინის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ უკრაინის პროკურატურა გეგმავს, უახლოეს დღეებში დააინიციროს მარგარიტა სიმონიანის საერთაშორისო ძებნილად გამოცხადების პროცესი.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ოდოევრის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/03/22, 20 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შეხვედრა ჯარისკაც ქალბატონებთან

„თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად“, - ასე უწოდეს აჭარის მწერალთა სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოს, რომელსაც მისი დირექტორი ლალი კონცელიძე და სტუმარი - საქართველოს ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ნანა (ნანო) შაინიძე ერთად უძღვებოდნენ

შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ აჭარაში მომსახურე საქართველოს ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი ქალბატონები: ანა ბოლქვაძე, მარიზი (მარი) ბოლქვაძე, ლიანა სურმანიძე, თამარ გორგილაძე, თინათინ მართალიშვილი, მათ ახლდათ მეათე კადრირებული ბრიგადის 101-ე ქვეითი კადრირებული ბატალიონის მეთაური მაიორი გიორგი კამკამიძე, მესამე ასეულის უფროსი სერჟანტი ზვიად პაქსაძე, ოცეულის სერჟანტი მინდია შაინიძე. შეხვედრას პატრიოტული ფონი გასდევდა. სტუმარ-მასპინძლებმა არაერთი ლექსი წაიკითხეს.

- მწერალთა სახლში გაზაფხულზე შემოქმედ ქალბატონებს ყოველწლიურად ვხვდებოდით. წელს, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, რომელიც მთელი მსოფლიოს, კაცობრიობის ტკივილი გახდა, გადავწყვიტეთ ჯარისკაცი ქალბატონები მოგვეწვია. გვინდა, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ადამიანთა სულიერებაზე, რათა ქვეყანას საომარი ნაკლები დარჩეს, - აღნიშნა შეხვედრაზე ლალი კონცელიძემ.

- პუტინი და ლავროვი გამოდიან და ცინიკურად ამბობენ, თითქოს მათ ომი არ დაუწყიათ... ყველაფერი სიცრუეზე აქვთ აგებული. მე ის რუსი ჯარისკაცებიც მეცოდებიან - 17-18 წლის გამოუცდელი ბიჭები, იქ რომ იღუპებიან. ვისურვებ, მალე დასრულდეს ეს ომი უკრაინის გამარჯვებით, რადგან ეს საღი აზრის გამარჯვება და ბოროტების იმპერიის საბოლოოდ დამსხვრევაა, - აღნიშნა აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძემ, რომელმაც საკუთარი ლექსი წაიკითხა.

- ყველა შეცდომის გამოსწორება გიწევთ თქვენ - ჯარისკაცებს და ხშირად სიცოცხლის ფასადაც კი. თქვენ ხართ მამულის გადამრჩენელები. რაც ნაკლებ შეცდომას დავუშვებთ ჩვენ, მით უფრო ნაკლები საქმე გექნებათ მამულის დამცველებს. ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ, დასაფასებელს. მტრის გარემოცვაში მყოფი ეს პატარა საქართველო, ყველა მხრიდან რომ გვიმიზნებენ, ყველას უფროს ძმას და მეგობარს ეძახის. ვფიქრობ, სახელმწიფოებს შორის მეგობრობა არ არსებობს. არსებობს მარადი (საკუთარი) ინტერესები და ყველას თავისი ინტერესი აქვს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვენ ოდესმე ბრძოლაში ჩაბმა მოგიწიოთ. განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული - თქვენ. ერთიც მინდა გისურვოთ - ყველა ქალი დედობისთვისაა შობილი, ჯერ დედები იყავით და მერე ჯარისკაცები, მჯერა, არაჩვეულებრივ შვილებს აღზრდით. აბა, ისინი არიან მამაკაცები, „მღვდლებად“ რომ აკურთხებენ, ჯარში რომ არ წავიდნენ?! მათთან რომელ სამშობლოზე, რომელ თავმოყვარეობაზე უნდა ილაპარაკო?! - თქვა პოეტმა ვახტანგ ღლონტმა.

საინტერესო სიტყვით წარსდგა შეხვედრაზე ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი როინ აბუსელიძე.

- 2018 წელს დაიწყო ჩვენი პროგრამა - ეროვნულ გვარდიას, თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობით, დაევალა, ტეროტორიული პრინციპით რეზერვისტების მიღება. რა თქმა უნდა, ეს არის ნებაყოფლობით. პირველი ასეული 2018 წელსვე ჩამოყალიბდა. ეს არის 4-წლიანი, ხელფასიანი კონტრაქტი, მოდიან მხოლოდ შაბათ-კვირას. გადიან სამედიცინო მომზადებას, სწავლობენ კავშირგაბმულობას, საცეცხლე მომზადებას, ტოპოგრაფიის საფუძვლებს... ქართველი ქალების არაერთი გმირობა გვახსოვს. თუნდაც გავიხსენოთ ჩვენი წმინდანი მეფე თამარი - როგორი ძლიერი იყო საქართველო მის ეპოქაში. 2008 წლის ომშიც სანიმუშოდ იმსახურეს ქართველმა ქალბატონებმა სამედიცინო ხაზით. რაც შეეხება ამ გოგონებს, ისინი ჩვენთან ივნისში მოვიდნენ. კიდევ სამი წელი უნდა იმსახურონ, შემდეგ შეუძლიათ გააგრძელონ კონტრაქტი. გვაქვს ეროვნული გვარდიის ფეისბუქგვერდი და ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია იქ გაეცნოს პირობებს. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, რა თქმა უნდა, კარგია. რაც უფრო ახლოს იქნება საზოგადოება ჯართან, მით მეტად დაუახლოვდებიან ერთმანეთს. სამოქალაქო სექტორი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული თავდაცვის სფეროში, ეს ძალიან კარგია ორივე მხარისთვის. ჩვენ არაერთი გოგონა მივიღეთ, რომლებმაც შესანიშნავად წარმოაჩინეს თავი. გვყავს საუკეთესო მსროლელი ასეულში ანა ბოლქვაძე, თანაც სტუდენტია. მიხარია, რომ დღეს აქ მოსული გოგონები, რომლებიც ჩვენთან მსახურობენ, ამავდროულად უნივერსიტეტშიც სწავლობენ და ყველაფერს ასწრებენ... ჩვენ ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს, თუ გუნდი არაა შეკრული, საქმე ცუდად კეთდება. მანდილოსნები რომ არიან ჯარში, ეს ძალიან კარგია, თავისებური სტიმულია, მოკრძალებაც არის. ხომ ამბობენ, გენდერული თანასწორობაო, მაგრამ ჯარში მორიდება მაინც არის და ეს სულაც არ არის ცუდი... ჩემს ბატალიონში, ქვედანაყოფში ეს გოგონები არიან პირველი მერცხლები. მადლობა მინდა გადავუხადო თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას, რომ ასეთი ბრიგადა შეიქმნა, - გვითხრა მაიორმა გიორგი კამკამიძემ, რომელმაც თითოეულ ჯარისკაცს მადლობის სიგელი გადასცა.

- ძალიან ემოციური დღე იყო - მწერლებს ჯარისკაცი ქალბატონები სტუმრობდნენ. ამ სიტუაციამ გაგვათბო, დღეს ხომ ყველა ემოციებით ვართ სავსე უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. ქალი საქართველოში არის ქალიც და დედაკაციც. არსად ასე არ ითქმის ერთდროულად ქალიც და კაციც. მათი ასეთ ფორმაში მოსვლაც დასტურია იმისა, რომ ჩვენ ღირსეული ქალბატონები გვყავს, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის სამსახურის უფროსმა თამარ გუდავამ.

- ღირებულებების მაღალ რეგისტრში აყვანისთვის ჩავატარეთ ერთობლივი ღონისძიება შემოქმედებსა და ჯარისკაცებს შორის. მისი მთავარი გზავნილია, იყოს მსოფლიოში მშვიდობა. ქალი სიცოცხლის საწყისია და რა ტანისამოსიც უნდა გვეცვას, ჩვენთვის ყველაზე მთავარი ადამიანის სიცოცხლე და მშვიდობაა. თავად შემოქმედი ვარ, თანაც ჯარისკაცი და ჩემი სურვილია, ასეთი შეხვედრები ხშირად მოეწყოს. დღევანდელი დღე გახდება ჩვენთან კულტურული ღონისძიებების გაცვლის საწყისი. ქართველი კაცი ყველგან და ყოველთვის შემოქმედი იყო - ლექსს წერდა, მღეროდა, ცეკვავდა ომისა და მშვიდობის დროსაც. დღეს მირზა გელოვანის ლექსები წავიკითხე, რომელიც ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა ფრონტზე, - გვითხრა ნანა (ნანო) შაინიძემ.

- ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჩვენი ეროვნული გვარდიის ქალბატონებსა და საზოგადოებას ერთ შეხვედრაზე პირველად ვხედავ და ეს, ალბათ, ჩვენი სირცხვილია - ეს სფერო, რომელიც საქართველოს მომავლისთვისაა საჭირო, ეს ადამიანები უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს. როცა სიტყვა „პატრიოტიზმის“ წარმოთქმა სირცხვილია, აი, ამაში, ალბათ, ბევრი რამ ჩვენი ბრალია. თანამედროვე ცხოვრებაში, სადაც ჟიული შარტავას, გიორგი ანწუხელიძის, შინდისის ბიჭების და ბევრი სხვათა სახელებია, მამაც ქართველ ქალებზეც უნდა ითქვას. დიდია მათი წვლილი. ამიტომ მიხარია ამ ახალგაზრდა ქალბატონებთან შეხვედრა. მინდა, რომ თითოეულ სკოლაში ახალი სასწავლო წლის პირველი გაკვეთილი სწორედ საქართველოს გმირებს მიეძღვნას, რადგან მათ სახელები ბევრმა ახალგაზრდამ არც კი იცის. ამავე დროს, ჩვენს ჯარისკაცებთან ხშირად უნდა სტუმრობდეს ქართული სიტყვა, სიმღერა, ლექსი, მხატვრობა, ცეკვა... ყველაფერი ქართული. დღეს თუ რამ უნდა წამოვწიოთ წინ, ეს ჩვენი სამშობლოს გმირული დაცვის მაგალითებია, რომელიც საკმაოდ გვაქვს, - აღნიშნა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ოფისის მენეჯერმა ჩიტო ომერაძემ.

- ახლა მაინც უნდა გავახილოთ თვალი და დავინახოთ, სად არის ჩვენი გადარჩენა. კარგად ვიფიქროთ, როგორ შევქმნათ სახელმწიფო, როგორი ქვეყანა გვინდა, რა იდეოლოგიის და გაქანების. რა თქმა უნდა - ევროპა. პუტინი აგრესორია, მაგრამ რუსეთში მარტო ერთი პუტინი ხომ არ არის - 500 პუტინია. ეს ომი ჩვენს ოჯახსაც შეეხო. ჩემი უკრაინელი რძალი, იულია ბანკოვა, ერთ-ერთი ტელევიზიის დირექტორია. ომი რომ დაიწყო, დედასთან გახიზნა ბავშვები, ლვოვთან ახლოს. დღეში 3-4-ჯერ უწევდათ განგაშის დროს თავშესაფარში ჩასვლა. შვილიშვილი მწერდა, როგორ მინდა, პუტინი დაიჭირონო... არ ამბობდა - მოკლანო. მადლობა ღმერთს, რომ ახლა უკვე სამშვიდობოს არიან, აქ ჩამოვიდნენ, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- ბავშვობიდან მიზიდავდა საბრძოლო საქმე, გამიხარდა, რომ სარეზერვო საქმიანობაში ჩაბმის შესაძლებლობა მომეცა. აქ მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს. 4 წელში ბევრ რამეს შევისწავლი. სხვათა შორის, რთული არაფერია, პირიქით, ჩემთვის სახალისოც კია, რადგან იმ საქმეს ვეუფლები, რომელიც მუდამ მომწონდა. პირველ რიგში, ვისწავლე სამწყობრო სიარული, იარაღის გამოყენება - დაშლა-აწყობა, სროლა. ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობთ ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს ჯარისკაცმა. იმ გოგონებს, ვისაც აინტერესებს ეს საქმე, ვურჩევ, წავიდნენ ჯარში. აქ მიღებული ცოდნა ყველგან გამოგვადგება. ეს დღეები მუდამ მემახსოვრება. იქნებ, გავაგრძელო კიდეც, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცმა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტმა ანა ბოლქვაძემ.

მწერალთა სახლმა სტუმრებს მადლობის სიგელები, ადგილობრივ შემოქმედთა წიგნები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ინგა ხურცილავა - ტურნირის გამარჯვებული

ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დამთავრდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ქეთევან მუხაშარიას სახელობის მემორიალი, რომელიც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა

ქეთევან მუხაშარია წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა აჭარაში ჭადრაკის სფეროში, მონაწილეობდა ყველა ღონისძიებაში. მან დააარსა „შავი ზღვის დელფინის“ საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა და ტრადიციული გახდა. შეჯიბრება საერთაშორისოა და მასში უცხო ქვეყნის მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. ქალბატონი ქეთევანი სიცოცხლის ბოლომდე იყო აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი...

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა. მასში, აჭარის რეგიონის წარმომადგენლების გარდა, მოწვეული მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ: საერთაშორისო დიდოსტატი ინგა ხურცილავა და საერთაშორისო ოსტატი სოფიო ნიკოლაძე.

ასპარეზობაში გაიმარჯვა და სახელობითი თასი გადაეცა ინგა ხურცილავას.

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ტურნირის ყველა მონაწილემ სამახსოვრო საჩუქარი მიიღო.

გამარჯვებულებს მედლები და დიპლომები გადასცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, მინისტრის თანაშემწე რაულ თავართქილაძემ, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძემ, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის დირექტორის პირველმა მოადგილე ლევან ჯიოშვილმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა თამარ მესხიძემ.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა